ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გვ.7
## როგორ გასამართლდება გიგა ოთხოზორიას მკვლელი?

24 მაისიდან
ერიხ მარია რემარკი
ტრიუმფალური თაღი
ოქროს ბიბლიოთეკა
ტომი 4
ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი



ხუთშაბათი, 26 მაისი, 2016 №123 (7049) ფასი: 50 თეთრი

# ცემა-ტყეპა პარლამენტში

## ნაციონალებმა პარლამენტის სხდომებს ბოიკოტი გამოუცხადეს





გვ.2

## ირაკლი სესიაშვილი: „ნაციონალურმა მოძრაობამ თავის რევოლუციურ ზრახვებს უნდა გადახედოს“

გვ.3



## საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და ლიტვის რესპუბლიკის სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გაფორმდა



გვ.5

გვ.4



## სანდრო ბრეგაძე: „კვირიკაშვილი მზად არის, რომ ნაციონალებს ხელისუფლება გადააბაროს“

ISSN 1987-9385



## ნიშნიანიძე მეჭიაურის პარტიაში მიდის

გვ.3

თამაზ მეჭიაური: „პარტიის სახელი 2 კვირაში გახდება ცნობილი“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ცემა-ტყეპა პარლამენტში

შორენა მარსაგიშვილი



## ნაციონალებმა პარლამენტის სხდომებს ბოიკოტი გამოუცხადეს

**კორცხელში მომხდარი ინციდენტი პარლამენტის კედლებში რომ ჰპოვებდა გაგრძელებას, ამაში ყველაზე აპოლიტიკურ ქართველობასაც არ ეპარებოდა ეჭვი. მოლოდინმა გაამართლა და დეპუტატებმა ერთმანეთზე გაიწიეს. მართალია ჩვენს ტანჯულ სამშობლოს ამაზე მაგარი ჩხუბები უნახავს პარლამენტში, მაგრამ ესეც შთამბეჭდავი იყო.**

**ზონდერებზე საუბარმა კანონმდებლები რამდენიმე წლით უკან დააბრუნა. დეპუტატმა ზაზა პაპუაშვილმა 2011 წლის 26 მაისის დარბევა გაიხსენა. მაშინ აქციის მონაწილეების დასარბევად ნაციონალებმა ლამის ყველა კუნთმაგარ ტიპს უხმეს.**

ზაზა პაპუაშვილმა საპარლამენტო უმცირესობას ეს ამბავი გაახსენა და კოლეგებს სთხოვა, 26 მაისს დარბევის დროს დაღუპულებისთვის წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ.

ნაციონალები ამ წინადადებას წუთიერი დუმილის ნაცვლად, წუთიერი ღმუილით შეხვდნენ. რასაც მეოცნებე ოთარ ჩრდილელის და ზურაბ ზვიადაურის პროტესტი მოჰყვა. მათთან სიტყვიერ დაპირისპირებაში შევიდა ნაციონალი ტარიელ ლონდარიძე.

დეპუტატები რამდენიმე წუთის განმავლობაში დაუნდობლად აგინებდნენ ერთმანეთს პარტიებს და კეთილებს. მთელი ამდენი ხნის მანძილზე სხდომის წამყვანი ზვიად ძიძიგური ამაოდ მოუწოდებდა სამწყსოს სიმშვიდისკენ.

ვიცე-სპიკერის სიტყვებმა კანონმდებლებზე უარყოფითად იმოქმედა და კიდევ უფრო აუწიეს ხმას. ზვიადაური უკვე მზად იყო სპორტული წარსული გაეხსენებინა, ამას მალევე მიხვდა გონებამახვილი ძიძიგური და ოლიმპიურ ჩემპიონს სხდომათა დარბაზის დატოვება მოსთხოვა.



ზვიადაური ძიძიგურს დაემორჩილა. გასასვლელისკენ დაიძრა და მიმავალმა ნაციონალების მისამართით რამდენიმე ტიპის მრავალსართულიანი გინება გაუშვა. მანდატურებმა ის სასწრაფოდ გაიყვანეს დარბაზიდან, მიხურეს თუ არა კარი, ნაციონალებიც აყვირდნენ და ახალი ძალით გაიწიეს მეოცნებეებზე.

მართალია პარტიიდან წასვლა თითქმის გადაწყვეტილი აქვს, მაგრამ ჩხუბში უყოყმანოდ ჩაერთო ომარ ნიშნიანიძე. მან გია თევდორაძესთან იჩხუბა. მანდატურებმა მოჩხუბრები ოსტატურად გააკავეს.

◆ ◆ ◆

ამ ჩხუბამდე ნაციონალებმა კორცხელის ინციდენტის მთავარი მოქმედი პირების დასჯა მოითხოვეს. პირველი მოთხოვნა მათ ბიუროს სხდომაზე დააყენეს.

ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერის სერგო რატიანის განცხადებით, 22 მაისს მომხდარ ინციდენტზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა კახი კალაძემ აიღოს. მისი თქმით, იმ დღეს „პარადი" კალაძეს მიყავდა.

– ჩვენ ვხედავთ, რომ არავინაა დაკავებული. საერთოდ არ არის საუბარი შემკვეთებზე. შემსრულებლები ყველანი ღია ეთერით ვიხილეთ. გუშინ ვნახეთ, რომ დამნაშავე პირები აქეთ აყენებენ ულტიმატუმს, რომ დაკავების შემთხვევაში, საპროტესტო აქციებს დაიწყებენ. ვიდრე არ იქნება საუბარი დამკვეთზე, ვიდრე მთავრობასა და უმრავლესობაში არ იქნება ნება იმისა, რომ პოლიტიკური პასუხისმგებლობა დაეკისროს მას, ვინც ეს ინციდენტი დაუკვეთა, მანამ დამნაშავეები ულტიმატუმის ფორმით ისაუბრებენ, არაფე-



რი არ გამოვა, – განაცხადა რატიანმა.

ოპოზიციონერ კოლეგას ვიცე-სპიკერი ზვიად ძიძიგური გამოეხმაურა. მისი თქმით, ადამიანის დამნაშავედ გამოცხადება მხოლოდ სასამართლოს მიერ ხდება და ამის უფლება არავის აქვს, სასამართლოს გარდა.

ძიძიგურის თქმით, ის, ვინც ყველაზე მეტად არის დაინტერესებული საარჩევნო პროცესების მშვიდად, დემოკრატიულად და ძალადობის გარეშე წარმართვით, არის ხელისუფლება და უმრავლესობა.

ამ თემაზე საუბარი სხდომათა დარბაზშიც გაგრძელდა. კორცხელის ინციდენტის თვითმხილველმა და სასწაულად გადარჩენილმა ნუგზარ წიკლაურმა კახა კალაძე ბანდფორმირების მეთაურად გამოაცხადა და მისი დაკითხვა მოითხოვა.

– კორცხელში სისხლიანი სასაკლაო გაიმართა. იყო განსაკუთრებული სისასტიკით მოქალაქეების დევნა მთელი სოფლის გარშემო. შემთხვევები მოხდა მთავარი ეპიცენტრიდან 300, 500 მეტრის დაშორებით. ეს იყოს სამეგრელოს და ქართული სახელმწიფოს გათელვის მცდელობა. ეს იყო მოქალაქეების, ქალების, ბავშვების უმოწყალო დევნა, იყო მათი დევნა, ვინც სკოლიდან გამოდიოდა, მაგრამ ყველზე უფრო შთამბეჭდავი იმ დღეს კრიმინალისგან შეშინებული პოლიციელი იყო – ის წარმოადგენდა სახელმწი-



ფოს, მაგრამ ეს სახელმწიფო იმ წუთას იქ არ არსებობდა. ის პოლიციელი იყო დამცირებული და განადგურებული ქართული სახელმწიფოს სიმბოლო, – აღნიშნა კორცხელგამოვლილმა დეპუტატმა.

ის მომხდარზე პრემიერის პოზიციითაც უკმაყოფილოა და ამბობს, რომ კვირიკაშვილს არაფრის გაკეთება არ შეუძლია.

– სისხლიანი სასაკლაოს შემდეგ ჩვენ ვიხილეთ უმოქმედო და უსუსური პრემიერ-მინისტრი, რომელსაც ამ უკანონობის აღსაკვეთად არაფრის გაკეთება არ შეუძლია. შემდეგ ვიხილეთ უმოქმედო და უსუსური პოლიცია, რომელსაც არ შეუძლია რეაგირება მოახდინოს მოქალაქეთა დევნაზე. ვიხილეთ უმოქმედო პროკურატურა, რომელსაც არ შეუძლია სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მაშინ, როცა სრულიად აშკარაა და სახეზეა სისხლის სამართლის დანაშაული. ისედაც ვიცით, რომ გვყავს უმოქმედო სასამართლო, რომელსაც ნებისმიერი უსამართლო გადაწყვეტილების მიღება შეუძლია. გვყავს უმოქმედო პარლამენტი, რომელიც ვერაფერს ვერ აკეთებს, რომ ამას დაუპირისპირდეს – იმასაც კი, რომ ოთხი წლის განმავლობაში პატარა ბავშვის მკვლელობა გამოიძიოს, – განაცხადა წიკლაურმა პარლამენტის სხდომაზე.

22 მაისს განვითარებულ მოვლენებს სხვა შეფასებებს აძლევენ „ქართული ოცნების" წევრები. ჯერ კიდევ მეოცნებე ომარ ნიშნიანიძე ამბობს, რომ მთელი საქართველო მათ ხელებს ლოცავს, ვინც ბოკერია და სხვები გალახა.

მისივე თქმით, მომხდარით გამოძიება უნდა დაინტერესდეს, ოღონდ პირველ რიგში იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, ვინც 2012 წელს კარალეთის ინციდენტში მონაწილეობდა და ეს ადამიანები სათანადოდ უნდა დაისაჯონ.

– ცხრა წლის განმავლობაში გვცემდნენ და რატომ გიკვირთ, რომ ახლა ხელი შევუბრუნოთ მათ? დროზე უნდა გალახულიყვნენ, თავის დროზე უნდა დასჯილიყვნენ და დღეს ეს არ მოხდებოდა. მოდი, ჯერ დავსაჯოთ ისინი, ვინც 2012 წელს თავები დაგვიხეთქეს ქვებით კარალეთში. თუ ერთი ადგილი ჰქონდათ, ის ხალხი დაესაჯათ. მერე დააყენონ იმის პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც ეს ბიჭები გააგზავნა სამეგრელოში და მერე, კი ბატონო, ამ ბიჭებსაც ვუთხრათ, თუ გინდა ყური ავუწიოთ, მე ვიტყოდი – დავარიგოთ, რომ არჩევნების დღეს და არჩევნების პერიოდში არ შეიძლება მათი ცემა, თორე ისე საცემები არიან. მათ რომ სირცხვილი ჰქონდეთ, ნამუსი ჰქონდეთ, შუბლზე ძარღვი ჰქონდეთ, საერთოდ არ უნდა ჩნდებოდნენ ხალხში. რეაგირება იქნება, არ დაახანებს, მაგრამ ჩვენ ვერ ვიქნებით თავის მართლების რეჟიმში.

„ქართული ოცნება" არ უნდა იყოს შეშინებული. მთელი საქართველო მათ ხელებს ლოცავს, ვინც ბოკერია და სხვები გალახა. ჩვენ ვის ვსჯით, მათ ვსჯით? არ იქნება ეს სწორი. მე არ ვამბობ, რომ გინდა თუ არა ამ ფაქტს მივესალმები. რა თქმა უნდა, არ უნდა მოხდეს, მით უმეტეს, საარჩევნო პერიოდში, მაგრამ დასასჯელი ისინი იყვნენ. თავის დროზე რომ სამართლიანობა აღმდგარიყო, მაშინ დღეს ეს ნაკლებად მოხდებოდა, – განაცხადა ომარ ნიშნიანიძემ.

მისმა კოლეგამ კარლო კოპალიანმა ნაციონალებს მათ მიერ ნაკეთები საქმეები და 2011 წლის 26 მაისის დარბევა გაახსენა. აღსანიშნავია, რომ იმ ღამეს რუსთაველზე კოპალიანიც იმყოფებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ის საქართველოს პარლამენტის წევრი იყო, ნაც-ზონდერები მას სასტიკად გაუსწორდნენ. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მაშინ ზონდერების მიერ დეპუტატის ცემის ფაქტი არავის დაუგმია, მათ შორის, არც არასამთავრობოებს.

კოპალიანი ძალადობას გმობს და აცხადებს, რომ ნაციონალებისგან კრიტიკას ვერ მიიღებს, რადგან ისინი თავად არიან მოძალადეები.

– გვამები გადამალეს მაღაზიის თავზე, რათა მათ საეჭვოდ თვალებამღვრეულ პრეზიდენტს მეორე დღეს აღლუმი მიეღო რუსთაველზე. მე, როგორც 26 მაისის აქციის მონაწილე, ვგმობ ყოველგვარ ძალადობას, რამეთუ ძალადობა ისევ ძალადობას შობს. დღეს, როცა ზუგდიდში მომხდარ ფაქტებზე გვაკრიტიკებენ, ზოგიერთებს შეიძლება გავუგო კიდეც, მაგრამ მოძალადეებისგან ვერ მივიღებ კრიტიკას, მით უფრო, რომ მომხდართან ხელისუფლებას არავითარი კავშირი არ აქვს და პროვოკაციის ოსტატებმა ეს მშვენივრად იციან, – აღნიშნა კოპალიანმა.

მან ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს დუმილი ურჩია და 22 მაისს გალახული ნიკა მელიას ძველი საგმირო საქმეებიც გაახსენა. კოპალიანმა ნაციონალებს მისი ცემის ფაქტიც გაახსენა.

– ნაციონალური მოძრაობის წევრებმა სჯობს, ენები მუცელში ჩაიგდოთ და ის გაიხსენოთ, თუნდაც იგივე მელია როგორ სცემს და უსწორდება მოძალადეებს 7 ნოემბერს; ის გაიხსენოთ, როგორი ძალადობით მართავდით 9 წლის განმავლობაში საქართველოს და რა უბედურებები დაატრიალეთ სამეგრელოში; ის გაიხსენოთ, როგორ აქციეთ 26 მაისი ქართველი ხალხის ხოცვა-ჟლეტის დღედ. ხელისუფლება რა შუაშია, ნაწამებმა და ნაგვემმა ადამიანებმა შეიძლება გიცნეს და სცადეს, პირადად გაგსწორებოდნენ. თქვენს სისხლიან ხელებს ხელისუფლებისაკენ ნუ იშვერთ, ჩემკენ ნუ იშვერთ, თქვენ იქით გმართებთ პირადად ჩემი სისხლი, – განაცხადა დეპუტატმა.

კოპალიანს ვერაფრით ვერ გაუგია, თუ როგორ ბედავენ ნაციონალები ვინმეზე ხმის ამოღებას. ამ ამბით აღშფოთებულმა დეპუტატმა პარლამენტის ტრიბუნიდან მიმართა სრულიად სანაცეთს.

**კარლო კოპალიანი:**

– სააკაშვილო, საყვარელიძევ და მთელო სანაცეთო, ვეღარ გაძეხით ხომ ჩვენი სისხლით?! დაბრუნება მოგინდათ, არა, თქვე მართლა ბნელეთის მოციქულებო?! როგორც თქვენი ხუშტურიანი პრეზიდენტყოფილი ვერ დაუბრუნდება საღ გონებას, ისე ვერ დაუბრუნდებით თქვენ ხელი-



სუფლებას. მსგავსი პროვოკაცია რომ თქვენს დროს ვინმეს გაებედა და დაეგეგმა, ცოცხზეშესმული, კბილებჩამსხვრეული და დაინვალიდებული ამოყოფდა თავს ციხის კამერაში, ამიტომ ჩემი რჩევაა – ფრთხილად იყავით, ზღვარს ნუ გადადიხართ და ხალხის ნერვებზე ნუ თამაშობთ, თორემ შეიძლება, ჩვენც ვეღარ გიშველოთ...

◆ ◆ ◆

ჩხუბის და აყალმაყალის გარდა, ეს სხდომა სხვა რამითაც იყო გამორჩეული. ნაციონალურმა მოძრაობამ პარლამენტის სხდომებს ბოიკოტი გამოუცხადა. ეს გადაწყვეტილება ერს სერგო რატიანმა აუწყა.

– მთელი საქართველო ხედვას, რომ დამნაშავე ხელისუფლებაშია და ხელისუფლება ამას ვერ აცნობიერებს. ხელისუფლება ვერ აცნობიე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ირაკლი სესიაშვილი: „ნაციონალურმა მოძრაობამ თავის რევოლუციურ ზრახვებს უნდა გადახედოს“

ნათია ხურცილავა



„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ირაკლი სესიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ირაკლი, კორცხელში განვითარებულ მოვლენებზე ამერიკის ელჩმა განაცხადა, რომ დემოკრატიული საზოგადოებისთვის მსგავსი ფაქტები მიუღებელია. თქვენ, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელს, რა გზავნილი გაქვთ 8 ოქტომბრის არჩევნების წინ. როგორი არჩევნები გვექნება?***

– მშვიდი არჩევნები გვექნება და ეს არის ჩვენი ხელისუფლების ძალიან მტკიცე პოზიცია. შემიძლია გითხრათ – პრინციპის დონეზე აყვანილი პოზიცია. თუმცა, როდესაც ინციდენტი ხდება, ეს არის პროვოცირების შედეგი. პირდაპირ ვაცხადებ, ნაციონალური მოძრაობა ყველაფერს აკეთებს, რომ სიტუაცია პროვოკაციისკენ წაიყვანოს. ისინი არიან გაკოტრებულები და არა აქვთ სხვა შანსი გარდა იმისა, რომ სიტუაცია არიონ და ამ არეულობაში ჩაგრულის როლი მოირგონ. ამით კი, ცდილობენ საზოგადოებრივ განწყობებზე ზემოქმედების მოხდენას. ეს არის მათი პირდაპირი მიზანი და ამას არ მალავენ. ამ წლების განმავლობაში მართული ტელევიზიების საშუალებით აპოკალიფსურ სურათს ხატავენ, ეს უკვე არის მათი მხრიდან პროვოკაცია. მშვიდ გარემოში არჩევნების ჩატარება ყველაზე მეტად ჩვენ გვინდა და გვჭირდება, რა თქმა უნდა, სახელისუფლო პარტიას მეტი ძალა აქვს.

***– და მეტი პასუხისმგებლობაც.***

– გეთანხმებით, რასაკვირველია, მაგრამ პროვოკაციულ ზრახვებს არ უნდა ჰქონდეს ადგილი. კორცხელის ინციდენტი არ იყო პროვოცირებული იმ ბიჭების მიერ, ხელკეტები ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს ჰქონდათ მოტანილი. ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების მიზანი იყო რეზონანსი მოჰყოლოდა ამ პროვოკაციას. ვინ წამოიწყო პროვოკაცია და ვინ ცდილობს სიტუაციის არევას? ხომ ლოგიკურია, რომ ეს ჩვენ არ გვაწყობს, რომ ამით ჩვენ ქულებს ვერ ჩავიწერთ? ცხადზე ცხადია, რომ ეს ვითარება ნაციონალურ მოძრაობას აწყობს. ჩვენ ეს არ გვაწყობს. ჩემთვის ამ კითხვებზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არსებობს.

***– 2012 წლის არჩევნებზე მსგავსი ფაქტები თქვენ ხომ არ მოგწონდათ და ხომ აპროტესტებდით?***

– 2012 წელს ის ყველაფერი მაშინდელი ხელისუფლების თავების მიერ იყო მართული, ეს განსხვავებაა. თვითონ გეგმავდა ხელისუფლება და თვითონ ახორციელებდა. რატომ არ მოხდა იგივე, მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობის დროს? საპრეზიდენტო არჩევნების დროს? იგივე ამ არჩევნებზე სხვა საარჩევნო უბანზე თუ ეს იყო ჩვენი მიზანი? ეს ხომ არის ლოგიკური კითხვა.

***– რა უნდოდათ იქ მოჭიდავეებს, როგორც თქვენი თანაგუნდელები აცხადებენ, ისინი პარტიის წევრები არიან. ასეა?***

– ნაციონალური მოძრობა კონკრეტულად ამ საარჩევნო უბანზე იყო მობილიზებული. მათ შორის თავიანთი ძველი ზონდერები ჰყავდათ მობილიზებული. რიგით მოქალაქეს, რიგით ზუგდიდელს, რომლმაც ტანჯვა გადაიტანა ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს, მიდის არჩევნებზე და იქ ხვდება სადისტური პოლიტიკის გამტარებლები და ეს თქვენ ფიქრობთ, შიშს არ გამოიწვევს მათში? სამწუხაროდ ეს რეალობა იყო იმ მომენტში იქ. ეს ბიჭები, თავიანთ მხარდაჭერას გამოხატავდნენ.

***– სამართალდამცავების რეაგირება ადეკვატური იყო?***

– სამართალდამცავი ორგანოები მაქსიმალურად ცდილობდნენ სიტუაციის განმუხტვას. ყველამ კარგად დავინახეთ, რომ არა პოლიციელების აქტიური მუშაობა და ჩარევა, შეიძლება სიტუაცია კიდევ უფრო გართულებულიყო. მათი პოლიტიკური მიზანია ჩვენი სამართალდამცავების დისკრედიტაცია, ამიტომ ყველაფერს იტყვიან. უნდა დაველოდოთ გამოძიებას.

***– 8 ოქტომბრის წინ შეიძლება ვითარება უფრო დაიძაბოს თუ ხელისუფლებისთვის კორცხელის მაგალითი გაკვეთილი იქნება?***

– ნაციონალურ მოძრაობას პროვოკაციებისთვის პატარა რესურსი აქვს. მათ შეძლეს ერთ უბანზე თავიანთი ძალების მობილიზება და ამიტომ მოხდა ეს პროვოკაცია. როდესაც არჩევნები მთელი ქვეყნის მასშტაბით დაინიშნება და წინასაარჩევნო პერიოდი გაიშლება, მათ ამის შანსი აღარ დარჩებათ. მით უფრო, როგორც პრემიერმა ბრძანა, კანონმდებლობასაც გავამკაცრებთ და ადეკვატურ რეაგირებასაც მოვახდენთ.

***– მხარს დაუჭერთ კანონის გამკაცრებას?***

– დიახ.

***– ფიქრობთ, მსგავსი ნაბიჯია საჭირო?***

– ეს უფრო შეაშინებს ნაციონალურ მოძრაობას და იმ ძალებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ პროვოკაცია მათთვის მომგებიანი პოლიტიკური ნაბიჯი იყოს. მათ უნდა გადახედონ იმ რევოლუციურ ზრახვებს და დაიოკონ ეს სურვილები. წინააღმდეგ შემთხვევაში მიიღებენ იმას, რაც კანონმდებლობით არის დადგენილი.



***– „ქართული ოცნების“ შედეგები როგორი იქნება ამ არჩევნებზე? გაიმარჯვებთ?***

– „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, მაგრამ ძალიან ბევრი უნდა ვიმუშაოთ. გამარჯვების დიდი მოტივაცია არის თითოეულ ჩვენგანში.

***– იმ ორ უბანზე დამარცხებას როგორ აღიქვამთ?***

– თავიდან ამან ერთგვარად შემაშფოთა. თუმცა, მოგვიანებით გავაანალიზე და მივხვდი, ამაში არ არის ტრაგედია. წინ არის 8 ოქტომბრის არჩევნები, რომელსაც ჩვენ მოვიგებთ, მაგრამ წინ გვაქვს დიდი სამუშაო, სამუშაო თუნდაც ხალხთან. ჩვენ ადამიანებს უნდა ავუხსნათ, რა იყო წარსული და ასევე უნდა ავუხსნათ ჩვენი ქვეყნის პერსპექტივები, ჩვენი ქვეყნის წარმატებული მომავლის შესაძლებლობები. „ქართული ოცნება“ არის ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც დღეს ქვეყნის სწორი გზით წაყვანა შეუძლია.

***– ბატონო ირაკლი, პარლამენტში უმრავლესობით მოხვალთ?***

– რა თქმა უნდა, ამაში ორი აზრი არ არის.

***– ე.წ. კაბელების საქმეზე დღეს რა კომენტარს გააკეთებთ?***

– ჩემი პოზიცია ამ საქმეზე ცნობილია. მე პატივს ვცემ ამ ადამიანების უფლებას, რომ ზემდგომ ინსტანციებში ეძებონ სამართალი. პროცესის დასრულებამდე ჩემი მხრიდან პოზიციის დაფიქსირება ან შეფასება არასწორი იქნება. შესაძლოა აღქმულ იქნას, როგორც ჩარევა. მე მოვუწოდებ ჩემს კოლეგებს, რომ ამ თემის პოლიტიზირებას მოვრჩეთ, რადგანაც ეს უარყოფითად აისახება პროცესზე. პირველ რიგში გავუფრთხილდეთ ამ ხუთ ადამიანს, რომ სიმართლე დადგინდეს.

***– ბატონო ირაკლი, არც ისე დიდი დრო დარჩა ვარშავის სამიტამდე. რას უნდა ველოდოთ ვარშავის ნატოს სამიტისგან. სერიოზული სიგნალი მოსალოდნელია თუ, როგორც აქამდე, მხოლოდ დამაიმედებელი განცხადებებით დასრულდება მორიგი სამიტიც?***

– ვარშავის სამიტისგან ჩვენ ძალიან სერიოზულ შედეგებს ველოდებით, რომელიც პრაგმატულ შედეგებზე იქნება ორიენტირებულები. მათ შორის ახალ გზებს ვეძებთ, რათა ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება, ჩვენი ქვეყნის თავდაცვა გავაძლიეროთ და უფრო ინტენსიური გავხადოთ ურთიერთობა ნატოსთან. ბატონმა აპატურაიმ განაცხადა, რომ პირველად ვარშავის სამიტზე, საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე, ნატო-საქართველოს კომისია გაიმართება. ეს მართლაც უპრეცედენტო შემთხვევა გახლავთ. ეს იქნება ხაზგასმა ნატოს პოლიტიკური მხარდაჭერისა საქართველოს მიმართ და ეს გააძლიერებს ჩვენს შესაძლებლობას, რომ ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯები გადავდგათ.

***– ოთხი ასპირანტი ქვეყნიდან მონტენეგრომ სასურველი გზავნილი მიიღო ნატოსგან, ის გახდა ალიანსის წევრი. ჩვენთვის ეს ფაქტი შეიძლება დამაიმედებელი იყოს?***

– ჩვენ მივესალმებით მონტენეგროს გაწევრიანებას. თქვენ იცით, რომ ოთხი ასპირანტი ქვეყანა არსებობს და მათ მიმართ მიდგომები თითქმის ერთნაირია. ჩვენ რა ინსტრუმენტებიც გვაქვს, ის ინსტრუმენტები ჰქონდა მონტენეგროს. ნატოს არაერთგზის დაუფიქსირებია, რომ საქართველოს აქვს ყველა ის ინსტრუმენტი, რომელიც საჭიროა ნატოს წევრობისთვის, მის მოსამზადებლად. ამ პროცესში, მონტენეგროს გაწევრიანება ნიშნავს, რომ რიგში ერთი ნაბიჯით წინ წავიწიეთ. ეს არის შეუქცევადი პროცესი. ჩვენ გვჭირდება, რომ ყველა ეს ინსტრუმენტი გამოვიყენოთ, რათა პოლიტიკური გადაწყვეტილების დროს მზად ვიყოთ.

# ნიშნიანიძე მექიაურის პარტიაში მიდის

შორენა მარსაგიშვილი

**„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ ახლო მომავალში დეპუტატი თამაზ მექიაური თავისი პარტიის შექმნას აპირებდა. ეს ინფორმაცია რამდენიმე დღის წინ მისმა კოლეგამ და მეგობარმა ომარ ნიშნიანიძემაც დაადასტურა. მან მაშინ ისიც განაცხადა, რომ მექიაურის პარტიაში გადასვლაზე აქტიურად ფიქრობდა.**





რამდენიმე დღის ფიქრის შემდეგ უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა საბოლოოდ გადაწყვიტა „ქართული ოცნებიდან“ წასვლა. ნიშნიანიძემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მან ახალ პარტიაში გადასვლა საბოლოოდ გადაწყვიტა.

ნიშნიანიძე ხშირად და დაუფარავად საუბრობდა პარტიაში არსებულ პრობლემებზე და მათ მოგვარებას ითხოვდა. პარტიის ყრილობამდე სჯეროდა, რომ პრობლემები მოგვარდებოდა. 14 მაისს გამართულმა „ქართული ოცნების“ ყრილობამ ნიშნიანიძეს პარტიაზე გული საბოლოოდ აუცრუა.

– მე წელიწადნახევრის წინ ვიყვირე პირველად, რომ პარტიაში არ იყო კარგად მდგომარეობა. მას შემდეგ ჩვენ ვიყავით მოლოდინის რეჟიმში. ყრილობამაც, სამწუხაროდ, გამიცრუა იმედი, მით უმეტეს, პოლიტსაბჭოს ახალმა, შემომატებულმა წევრებმა, რომლებმაც საოცარი სიურპრიზი მოგვიტანეს. ამიტომაც ისინი კი ვერ გამიშვებენ მე, მე ვიქნები თუ არა მათთან, ეს არის საკითხავი. არ გამოვრიცხავ, რომ წავიდე... ვერავის დავუთმობ ამ ქვეყანას, ამიტომ, სადაც არ უნდა ვიყო, ვიბრძოლებ ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ. არ არის გამორიცხული, მიხილოთ თამაზ მექიაურის გუნდში, იმიტომ, რომ მე ვარ არაკოჰაბიტირებული ძალა. ამიტომაც მე ვარ იმ ფუნდამენტურ საფუძვლებთან ერთობაში, რომელიც, თავის დროზე, გამოაცხადა „ქართულმა ოცნებამ“. კონტურები უკვე გამოკვეთილია და არ არის გამორიცხული, დღეს ან ხვალ ეს გადაწყვეტილება მივიღო. არ მინდა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგი წავიდე, მე ვარ ბიძინა ივანიშვილის ერთგული, ისევე, როგორც სამშობლოს ერთგული, – განაცხადა ნიშნიანიძემ.

მისივე შეფასებით, „ქართული ოცნების“ მიერ ბოლო დროს გადად-

## თამაზ მექიაური: „პარტიის სახელი 2 კვირაში გახდება ცნობილი“

გმული ნაბიჯები არის ძალიან არაადეკვატური.

– მე დამირეკეს სამეგრელოდან ჩვენმა თანამებრძოლებმა და მითხრეს, რატომ არ გვენდობით, სულ არ იყო საჭირო არავის ჩაყვანაო – იქ, ადგილზე მეგრელები, ეს კარგი ხალხი, მოუვლიდნენ და თუ საჭირო იყო, ცხვირსაც დაუნაყავდნენ და გამოცოცხავდნენ კიდეც, – აღნიშნა დეპუტატმა.

მისი ინფორმაციითაც, „ქართული ოცნება“ შესაძლოა სხვა ადამიანებმაც დატოვონ. მათ ვინაობას დეპუტატი არ ასახელებს. „ახალ თაობას“ „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებულმა წყარომ აცნობა, რომ პარტიას სავარაუდოდ კარლო კოპალიანი, დავით ლორთქიფანიძე, ლუკა კურტანიძე, ვალერი გელაშვილი, შოთა ხაბარელი და ლერი ხაბელოვი დატოვებენ. შესაძლოა მათ რიგებში ვიხილოთ ზურაბ ზვიადაურიც, რომელიც, როგორც ამბობენ, პოლიტიკიდან წასვლას და ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტად აპირებს კენჭისყრას.

უკვე კარგა ხანია საუბრობენ, რომ მექიაური თავისი პარტიის შექმნას აპირებს. ამის მიუხედავად, ჯერ ვერავინ ამოიცნო თუ ვისთან ერთად გააკეთებს ამას. ზოგიერთი პოლიტიკოსი და ექსპერტი ფიქრობს, რომ მისი პარტიის უკან ბიძინა ივანიშვილი იდგება.

პარტიასთან დაკავშირებულ სამომავლო გეგმებს მექიაური ჯერ არ ამხელს. არც იმას ამბობს, თუ რა ერქმევა მის პარტიას. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე გვპირდება, რომ პარტიის სახელწოდებას 2 კვირაში გამოაცხადებს.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიის სახელი ჯერ მოფიქრებული არა აქვს, ის უკვე მზადაა თანამებრძოლების მისაღებად. კმაყოფილია იმით, რომ მის პარტიაში გაწევრიანებას გეგმავს მისი მეგობარი ომარ ნიშნიანიძე.

ამბობს, რომ ამ თემაზე კონსულტაციები არ გაუვლიათ, მაგრამ სჯერა, რომ მეგობართან გასაყოფი არაფერი აქვს და საერთო ენას უპრობლემოდ გამონახავს.

– ომარ ნიშნიანიძესთან გასაყოფი არაფერი მაქვს. ის ზღვების საკითხებშია და მე ხმელეთზე ვარ. ომარი მეგობარი კაცია და იდეურადაც საკმაოდ ახლოს არის, თუ მას ასეთი სურვილი ექნება, დიდი სიამოვნებით. საერთოდ, ყველა თემაზე ყველასთან ვსაუბრობ ფრაქციის შიგნით, მაგრამ ამ ეტაპზე ეს თემა არ გაგვივლია, თუმცა მივესალმები მის ასეთ გადაწყვეტილებას, – განაცხადა მექიაურმა.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სანდრო ბრეგაძე: „კვირიკაშვილი მზად არის, რომ ნაციონალებს ხელისუფლება გადააბაროს“

ნონა ცაბაძე

ეროვნულობის ლიდერი, სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე სანდრო ბრეგაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ბოლო პერიოდის პროცესებს აფასებს და ხელისუფლებას სერიოზულ ბრალდებებს უყენებს. ბრეგაძის განცხადებით, დღეს კვირიკაშვილი ნაციონალების თამაშს თამაშობს.



***– ბატონო სანდრო, თქვენ კვირიკაშვილი მწვავედ გააკრიტიკეთ და განაცხადეთ, რომ საკუთარი თანაგუნდელების გაწირვას აპირებს, სპორტსმენების დაპატიმრება უნდაო. როგორ აფასებთ იმ პროცესებს, რაც დღეს ხდება?***

– ბატონი კვირიკაშვილი ნამდვილად აპირებდა თავის თანაგუნდელების გაწირვას. მე დილიდან მქონდა ეს ინფორმაცია და მას შემდგომ, რაც ატყდა სერიოზული პროტესტი, როდესაც ხალხი ქუჩაში გამოვიდა, როდესაც მოსახლეობამ მხარი დაუჭირა ამ ახალგაზრდა სპორტსმენებს, რომლებიც იმყოფებოდნენ კორცხელში, კვირიკაშვილი იძულებული გახდა, ანგარიში გაეწია ხალხისთვის.

***–და თუკი დანაშაულზეა საუბარი? არასამთავრობო ორგანიზაციები, უფლებადამცველები, ოპოზიცია, ყველა მათ დანაშაულზე საუბრობს.***

– ესენი არანაირი არასამთავრობოები არ არიან, ესენი არანაირი ადამიანის უფლებათა დამცველები არ არიან. ესენი ყველანი არიან ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები! ზოგს არასამთავრობო ჰქვია და ზოგს უფლებადამცველი. ზოგსაც კიდევ ელგებეტე. რომელ ოპოზიციურ პარტიებზე მესაუბრებით? გირჩსა თუ ვაშაძის პარტიაზე? რომლებიც მთლიანად ნაციონალურ მოძრაობას წარმოადგენენ. ნაციონალური მოძრაობა რასაც წარმოადგენს, ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ როდესაც ბატონი კვირიკაშვილი, კურდღელივით შეშინებული გამოდის ტელევიზორში და ხელს აწმენდს იმ სპორტსმენებს, რომლებიც კორცხელში იყვნენ, ელემენტარულად ეს სამარცხვინო საქციელია!

***– ხომ იყვნენ იქ ეს სპორტსმენები?***

– თუ ეს ადამიანები იქ იყვნენ, იყვნენ სწორედ კვირიკაშვილის დავალებით, რადგან კვირიკაშვილი გახლავთ იმ პარტიის ხელმძღვანელი, რომელ პარტიასაც წარმოადგენენ ეს ახალგაზრდები. თუკი ბატონი კვირიკაშვილი მათ პასუხისმგებლობაზე საუბრობს, პირველ რიგში პასუხი თვითონ უნდა აგოს.

***– რისთვის უნდა აგოს პასუხი კვირიკაშვილმა?***

– როგორც პარტიის ხელმძღვანელმა! რომელმაც ეს ხალხი გააგზავნა სამეგრელოში. ამ ახალგაზრდებს არანაირი პასუხსაგები არა აქვთ. კვირიკაშვილის გასაგონად ვიტყვი, მხედართმთავარი, რომელიც საკუთარ ჯარისკაცებს ეფარება და შემდგომში ცდილობს, რომ ხელი მათ შეაწმინდოს, ვერასოდეს, ვერსად მცირე ბრძოლასაც კი ვერ მოიგებს. დიდი შეცდომა იქნება, თუკი ამ ბიჭებს დააკავებენ.

***–დანაშაულზეა საუბარი, სერიოზული დაზიანებები მიიღესო და ეს დაუსჯელი უნდა დარჩეს?***

– პარლამენტის დეპუტატებს შორის ასეთი ტიპის ჩხუბი წელიწადში ათჯერ მაინც ხდება, თუკი ეს სისხლის სამართლის დანაშაულია, მაშინ ყველა ის პარლამენტარი, რომელიც ერთმანეთს მუშტებს უზაგუნებდა პარლამენტის შენობაში, ჯერ ისინი დააპატიმრონ. ეს იყო ჩვეულებრივი ჩხუბი, ადმინისტრაციული გადაცდომა, რომელიც ისჯება ჯარიმით.

***– თქვენ ამართლებთ ამ საქციელს?***

– ცემა-ტყეპას არავინ არ ამართლებს, მაგრამ იმის გულისთვის, რომ მელიამ და ბოკერიამ პროვოკაცია მოაწყო, ამის გულისთვის ამ ადამიანების ციხეში გაშვება უსამართლობაა.

***– რა იცით, რომ პროვოკაცია მელიას და ბოკერიას მხრიდან იყო? თუკი ისინი ამ არჩევნებს იგებდნენ?***

– რა თქმა უნდა, მათი მხრიდან იყო! მე თვითმხილველებმა მითხრეს, რომლებიც იმ სოფლელები არიან და ეს ყველაფერი ნახეს. მითხრეს, რომ მელია გადმოვიდა მანქანიდან და დედა შეაგინა ყველა იმ ადამიანს, რომელმაც 41 ნომერი შემოხაზა. მელიამ მშვენივრად იცოდა, რომ როდესაც ქართველ კაცს დედას შეაგინებ, მიიღებ ადეკვატურ პასუხს! მან მშვენივრად იცოდა, რომ ამისთვის მუშტი მოხვდებოდა, თუმცა სწორედ ამისთვის იყვნენ იქ ჩასულები! თუკი ეს ახალგაზრდები დაჯარიმდებიან ადმინისტრაციული წესით, ასევე უნდა დაჯარიმდეს მელიაც, ბოკერიაც, აკო მინაშვილი და დანარჩენი პროვოკატორები!

***– ჩვენ გვესმის შეფასებები, რომ კახა კალაძისგან იმართებოდა სპორტსმენთა ჯგუფი და პირადად მის დავალებებს ასრულებდნენო. ამაზე რას იტყვით?***

– ამაზე პირდაპირ გეტყვით, რომ ამ ხმებს ავრცელებს კვირიკაშვილის გარემოცვა!

***– ეს როგორ? რას ნიშნავს კვირიკაშვილის გარემოცვა? დაპირისპირებაა მათ შორის?***

– რა თქმა უნდა! და კვირიკაშვილის გარემოცვა მოქალაქეთა კავშირის დროინდელი პოლიტიკოსებით არის სავსე და მათი მთავარი მიზანია, რომ „ქართული ოცნება“ გაიწმინდოს სალად მოაზროვნე ადამიანებისგან. როდესაც კახა კალაძეს აბრალებენ და როდესაც კვირიკაშვილი გამოდის და პილატესავით ხელს იბანს, უნდა, რომ კარგ ბიჭად წარმოჩნდეს. ეს უკვე მეტყველებს იმაზე, რომ შიგნით დაპირისპირება და სერიოზული პრობლემებია. კვირიკაშვილი არის ადამიანი, რომელსაც ერთი დღეც კი არ უბრძოლია „ქართული ოცნების“ გასამარჯვებლად. პირიქით, უფრო უარესსაც გეტყვით, მაშინ, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა გამოაცხადა პოლიტიკაში მოსვლის შესახებ, კვირიკაშვილი ადგა და ქართუ ჯგუფიდან წამოვიდა.

***– რა მოტივით?***

– იმ მოტივით, რომ მას არ სურდა ბრძოლაში მონაწილეობის მიღება. გუნდშიც ასეთები ჰყავს. თქვენ იმდენად მიამიტები ხართ, გგონიათ, რომ პრემიერის უახლოესი მეგობარი, ბატონი კოღუაშვილი, რომელსაც მე წლებია ვიცნობ, თავისი ინიციატივით გამოვიდა და გადმოაფრქვია ის მარგალიტები, რომელმაც საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია?!

***– ამით რისი თქმა გსურთ, რომ მან კვირიკაშვილის აზრი გაახმოვანა?***

– რა თქმა უნდა! კოღუაშვილი კვირიკაშვილის ნებართვის გარეშე ქუჩის ბოლოში არ წავა პროდუქტების საყიდლად.

***– და რას ნიშნავს ეს ყველაფერი?***

– კვირიკაშვილი მოწადინებულია იმისთვის, რომ კოჰაბიტაცია ნაციონალურ მოძრაობასთან, გადაზარდოს ქორწინებაში და შემდგომში ხელისუფლება გადააბაროს ნაციონალურ მოძრაობას! დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ კვირიკაშვილი გახლავთ ჩანერგილი ბიძინა ივანიშვილის გარემოცვაში!

***– ვის მიერ ჩანერგილი?***

– ის დღესაც ემსახურება ნაციონალური მოძრაობის ინტერესებს. ეს თუ დღეს ვინმეს კიდევ არ სჯერა, მოვა ოქტომბერი და თავისი თვალით დაინახავს, რა და როგორ მოხდება. დიახ, ეს სამთავრობო და პოლიტიკურ წრეებშიც ყველამ კარგად იცის, რომ დიახ, სწორედ კვირიკაშვილმა დაავალა კოღუაშვილს იმის დეკლარირება, რომ ვანო მერაბიშვილი უდანაშაულოა და ციხიდან არის გამოსაშვები და ასე შემდეგ. ეს იყო კვირიკაშვილის აზრი, რომელიც გახმოვანდა კოღუაშვილის პირით.

***– მერე და ეს ყველაფერი არ იცის ივანიშვილმა?***

– ვერაფერს გეტყვით. მე მასთან საუბარი არ მქონია. დღეს ყველასთვის ცხადზე ცხადია, რომ კვირიკაშვილი ნაციონალების თამაშს თამაშობს.

***– თქვენი საუბრიდან გამომდინარე იბადება კითხვა, ხომ არ იყო ეს***



***გამიზნული პროვოკაცია კალაძის მოსაშორებლად? დღეს კეთდება განცხადებები, რომ პასუხი კალაძემაც უნდა აგოს. უხეშად რომ ვთქვათ, „გაუჩალიჩეს“ კალაძეს ეს სცენარი?***

– მე არ ვიცი დეტალები, თუ რა მოილაპარაკეს კვირიკაშვილმა და ნაციონალებმა კონკრეტულად კორცხელთან დაკავშირებით. თუმცა ფაქტია, რომ კალაძეზე უნდათ ჯოხის გადატეხა და კვირიკაშვილს არსად არ ახსენებენ, ეს ფაქტია. პარტიის თავმჯდომარე კვირიკაშვილია და არა კალაძე. თუ პასუხის გებაზეა საუბარი, პასუხი სწორედ კვირიკაშვილმა უნდა აგოს. დღეს კალაძეზე იმიტომ ყვირიან, რომ ნაციონალებს კვირიკაშვილი ძალიან აწყობთ. დასკვნები მკითხველმა გამოიტანოს. დღეს ჩვენი ქვეყანა ძალზე მძიმე ვითარებაშია და იცით რატომ?!

***– რატომ?***

– მარგველაშვილი – პრეზიდენტი, კვირიკაშვილი – პრემიერი, ნარმანია – დედაქალაქის მერი, კოღუაშვილი – უმრავლესობის მომავალი ლიდერი, ხიდაშელი – თავდაცვის მინისტრი, მურუსიძე – სასამართლოს მმართველი, უსუფაშვილი – პარლამენტის თავმჯდომარე. მგონი ღმერთმა მეტეორი უკვე გვესროლა და ვერ გაგვიგია! ძალიან სერიოზული საშიშროება არსებობს რევანშის. მიხეილ სააკაშვილი ჰაერზე არ საუბრობს, როდესაც აცხადებს, რომ ის აუცილებლად ჩამოვა და მოახდენს რევოლუციას. ის სერიოზული ავანტიურისტია და ის და მისი გუნდი ყველაფერზეა წამსვლელი. ამაზე კი ხელისუფლებაში არავინ ფიქრობს! პირიქით, საკუთარი თანაპარტიელების გაწირვაზე არიან გადასულები. ეს ყველაფერი შეიძლება ისეთი კატასტროფული შედეგებით დამთავრდეს, რომლის პროგნოზირებაც დღეს არ მინდა!

# ცემა-ტყეპა პარლამენტში

დასაწყისი მე-2 გვერდზე

რებს, რომ რეალობა შეცვლილია და ხალხი მას არჩევნებზე „არას“ეუბნება. მათ ამ არჩევანის წართმევა უნდათ. ვერ აცნობიერებენ იმას, რომ მათ 4 წლის განმავლობაში ვერ გააკეთეს ვერაფერი ხალხისთვის და ახლა უნდათ, რომ ხალხის არჩევანზე იძალადონ. ეს არის მათი პასუხი ხალხის ნებაზე, ამიტომ ჩვენ, ვიდრე არ იქნება დადგენილი დამნაშავე, დამკვეთი, ისევე, როგორც ადამიანები, ვინც იმ დღეს იძალადეს, ვაცხადებთ ბოიკოტს და არ შევდივართ დარბაზში, – განაცხადა სერგო რატიანმა.



ნაციონალურ მოძრაობას გადაწყვეტილება მეოცნებეების გარდა, რესპუბლიკელებმაც დაუწუნეს. დავით ბერძენიშვილი მათ გადაწყვეტილებას ბრძოლის ველიდან გაქცევად აფასებს.

– როგორც ნაციონალური მოძრაობა, ისე „ქართული ოცნების“ საპარლამენტო გუნდი არაადეკვატურად იქცევა. ნაციონალური მოძრაობის მხრიდან პოლიტიკური ბოიკოტის გამოცხადება დღეს ეს არის პოლიტიკური ბრძოლიდან გაქცევა. როგორც ჩანს, მათ არ აქვთ ენერგია, რომ საპარლამენტო მუშაობაში საპარლამენტო დარბაზში, გერმანული მოდელისთვის ბრძოლაში, სერიოზული წვლილი შეიტანონ. ისევ გარბიან ისეთ ადგილას, სადაც ისინი ძალიან სუსტები არიან, – განაცხადა ბერძენიშვილმა.

უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის ნუკრი ქანთარიას შეფასებით, „ნაციონალურ მოძრაობას“ პოლიტიკური პროცესების სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაყვანა სურს:

– ნაციონალებმა დაადასტურეს, რომ 9 წლიან მკვლელობაზე თანაზიარნი არიან და არანაირი სინანულიც კი არ აქვთ. კორცხელში მომხდარი სამარცხვინო ინციდენტი დავგმეთ, მაგრამ 2012 წლის არჩევნების შემდგომ პოლიტიკური მოტივით ხუთ კაცს არ უჩხუბია. მინდა, რომ ყველა დაკითხული იყოს და იმედია, რომ გამოძიება ერთ მხარეს არ გადატეხავს ჯოხს და ყველას სასჯელს მიუსჯის. სამარცხვინოა, როცა ნაციონალებს სურთ, ეს დაპირისპირება სამოქალაქო დონეზე – ბაზალეთის დონეზე აიყვანონ და ამ საქმეში სამეგრელო ჩართონ. ნათელია, რომ მათ სამოქალაქო დაპირისპირება უნდათ. უკრაინის მოქალაქეს ერთი სული აქვს, რომ 9 ოქტომბერს რუსთაველის გამზირზე მიტინგზე გამოვიდეს. ვარწმუნებ, რომ 9 ოქტომბერს, მიტინგი „ოცნების“ გამარჯვების აღსანიშნავად იქნება, სადაც იქ სააკაშვილის ფიტული იქნება ავბედითი წლების საპასუხოდ, – დასძინა ქანთარიამ.

# უსუფაშვილი კორცხელის ინციდენტზე: „დამნაშავეები უნდა დაისაჯონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელისუფლება დაისჯება“

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი სოფელ კორცხელში მომხდარ ინციდენტს კიდევ ერთხელ ეხმაურება.

როგორც ის აღნიშნავს, არ აქვს მნიშვნელობა, ჩხუბი ვინ დაიწყო და დამნაშავე აუცილებლად უნდა დაისაჯოს.

– მონაწილე პირები უნდა დაისაჯონ, სხვა შემთხვევაში ხელისუფლება დაისჯება, რაც არ მგონია, მის ინტერესებში შედიოდეს. ძალადობის აქტებზე რეაგირება ხელისუფლების საქმეა და არ აქვს მნიშვნელობა, ჩხუბი ვინ დაიწყო, ვინ გააგრძელა, ვინ ჯერ თმაზე მოქაჩა და მერე მუშტი დაარტყა. დარწმუნებული ვარ, დაისჯებიან მონაწილეები, დაისჯებიან ისინიც, ვინც მსგავსი რამ დაგეგმა, თუკი ეს დაგეგმილი იყო და თუ არ იყო დაგეგმილი, ამასაც გავიგებთ, – განაცხადა უსუფაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ 22 მაისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კორცხელში, 53-ე საარჩევნო უბანთან მყოფი „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ. დაზიანებები მიიღეს თენგიზ გუნავამ, გიგა ბოკერიამ და ნიკა მელიამ.

**ნიუსპრესი**



# მიხეილ სააკაშვილი: „საქართველოში ჩამოსვლას და პროცესებში აქტიურად ჩართვას ვაპირებ“

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობა“ არა მხოლოდ არ გამქრალა რადარებიდან, არამედ ის ახალი ძალით, განახლებული შემადგენლობით დაბრუნდა.

ამის შესახებ სააკაშვილმა გადაცემა „არჩევანის“ ეთერში განაცხადა.



– ჩვენ საქართველოს ეს სიბნელე დროზე უნდა ჩამოვაშოროთ და წინსვლა გავაგრძელოთ. დავით ბაქრაძის ინიციატივას მხარს ვუჭერ დიდი პოლიტიკური შერიგების შესახებ. ყოჩაღ ბაქრაძეს! ძალიან საინტერესო ინიციატივაა და ემთხვევა იმას, რაზეც ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია.

რა თქმა უნდა, საქართველოს არ შეუძლია სულ ერთ წრეზე სიარული. რა თქმა უნდა, მე ვაპირებ საქართველოში ჩამოსვლას და პროცესებში აქტიურად ჩართვას, – განაცხადა სააკაშვილმა.

ბაქრაძის თქმით, 2016 წლის ოქტომბრის არჩევნებში მათი გამარჯვების შემთხვევაში, ქვეყანაში ძალადობით და მუშტით გადაწყვეტილი პოლიტიკა დასრულდება.

– მე და მთელი ჩვენი გუნდი ვართ იმის გარანტი, რომ ოქტომბერში ის სირცხვილი, სისასტიკე, რაც კორცხელში ვიხილეთ, დასრულდება. პირველი ორი კანონი, რომელსაც არჩევნებში გამარჯვების შემდეგ მივიღებთ, იქნება კანონი პოლიტიკური შერიგებისა და ბიზნეს ამნისტიის შესახებ, – განაცხადა ბაქრაძემ.

**ნიუსპრესი**

# „ნეზავისიმაია გაზეტა“: „ტურისტულმა ბიზნესმა კავკასიაში ახალი სახელმწიფოს — აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა“

„რუსები, რომლებსაც ხელმოკლეობა დაეტყოთ, დასვენების ალტერნატივად სულ უფრო ხშირად ირჩევენ აფხაზეთს, სოჭთან და ყირიმთან შედარებით. აფხაზეთისადმი ინტერესი მატულობს რუსეთის ტურისტულ ბიზნესშიც, რომლის წარმომადგენლები ყურადღებას აღარ აქცევენ საქართველოს ხელისუფლების მიერ გაჟღერებულ პროტესტებს. გარდა ამისა, ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ უცხოური ბიზნესკომპა-



ნიების რუსულმა წარმომადგენლებმა პირველად დაიწყეს კომპლექსური ტურების შეთავაზება „ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოში — აფხაზეთში“. ამასთან, აფხაზების მონაწილეობა საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში კვლავ იწვევს თბილისის დიპლომატიურ დემარშებს“, — ნათქვამია რუსულ გამოცემა „Независимая газета“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში (ავტორი — ოლღა სოლოვიოვა).

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

აფხაზეთში რუსი ტურისტების სავარაუდო რაოდენობამ მიმდინარე წელს, გასულთან შედარებით, შეიძლება 30%-ით მოიმატოს. აფხაზეთის ხელისუფლება ოპტიმისტურადაა განწყობილი. პრეზიდენტ რაულ ხაჯინბას თქმით, რესპუბლიკაში ყველაფერი კეთდება ტურისტების უკეთ მომსახურების მიზნით, განსაკუთრებით ყურადღება ექცევა სტუმრების უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სამედიცინო მომსახურების დონეს, კომფორტს. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტმა საკურორტო სეზონის მზადების საკითხებთან დაკავშირებით სპეციალური თათბირი ჩაატარა.

როგორც პუბლიკაციაშია აღნიშნული, რუსი ტურისტები ტრადიციულ ყირიმსა და სოჭთან შედარებით, ამჯერად აფხაზეთს აძლევენ უპირატესობას. მიმდინარე წელს კრასნოდარის მხარეში და ყირიმის ნახევარკუნძულზე ტურების რაოდენობა არ გაზრდილა, აფხაზეთში კი ხუთჯერ მოიმატა. ამას თავისი მიზეზი აქვს: კრასნოდარის მხარეს მეტი შესაძლებლობები აღარ აქვს (რეგიონის კურორტები შარშან 14 მილიონ ტურისტს მოემსახურა), ყირიმს კი პოლიტიკური მიზეზების გამო ჯერჯერობით უფრთხიან.

საინტერესოა, რომ პირველად, აფხაზური ტურიზმის ისტორიაში, ტურების შეთავაზება დაიწყო გერმანულმა გიგანტურმა კომპანიამ „ტურისტიკ უნიონ ინტერნაციონალმა“, რომლის რუსული ფილიალი ევროპელებს აფხაზეთში მოგზაურობას სთავაზობს.

სტატიაში ყურადღება ეთმობა აგრეთვე აფხაზეთის მონაწილეობას საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში, რაც საქართველოს პროტესტებს იწვევს. მაგალითად, გადმოცემულია ჩერნოგორიაში ამას წინათ მომხდარი ინციდენტი, როცა აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ წარმოდგენილი საგამოფენო სტენდი ჯერ მნახველებს ილებდა, შემდეგ კი ადგილობრივმა ხელისუფლებამ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოთხოვნით, დახურა.

**ნიუსპრესი**

# საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და ლიტვის რესპუბლიკის სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გაფორმდა

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ვახტანგ გომელაურმა და ლიტვის რესპუბლიკის სპეციალური საგამოძიებო სამსახურის დირექტორმა საულიუს ურბანავიჩიუსმა ხელი მოაწერეს „შეთანხმებას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და ლიტვის რესპუბლიკის სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს შორის თანამშრომლობის შესახებ“.

შეთანხმება მიზნად ისახავს მხარეებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის განვითარებას კორუფციის პრევენციის, კორუფციასთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი დევნის და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების საკითხებზე.

ლიტვის რესპუბლიკის გამოძიების სპეციალური სამსახურის დელეგაცია საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში, სამუშაო შეხვედრები გაიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს, ასევე, საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ჩართული სხვა უწყებების, მათ შორის, იუსტიციის სამინისტროსა და მთავარი პროკურატურის შესაბამის წარმომადგენლებთან.



# ამერიკელი კონგრესმენი: „საქართველო ნატოსგან მეტად უნდა წახალისდეს“

რესპუბლიკელი კონგრესმენი ადამ კინზინგერი თვლის, რომ თეთრი სახლის დღევანდელი ადმინისტრაცია საგარეო ურთიერთობების საკითხში საკმაოდ სუსტია. ის პრეზიდენტ ობამას მიერ რუსეთთან დაწყებულ ე.წ. გადატვირთვის პოლიტიკას აკრიტიკებს და მას ძალიან გულუბრყვილო ნაბიჯად აფასებს, მაშინ როცა, რეალობა სრულიად განსხვავებული იყო.

— სინამდვილეში ვლადიმირ პუტინს დასავლეთთან მეგობრობაში მარტო ერთი რამ აინტერესებს: გაზარდოს სასურველი ექსპანსიის სია... დღეს ჩვენ კარგად გვესმის, რომ რუსებს ყოფილი საბჭოთა კავშირის აღდგენა სურთ, რომელშიც შევა უკრაინა, საქართველო, ბალტიისპირეთი და ყველა დანარჩენი ტერიტორია. დაკავებული არიან იმ გათვლებით, თუ ისე როგორ განახორციელონ ეს გეგმა და როგორ გაზარდონ ზეწოლა ზუსტად იმ დონემდე, რომ ნატოსგან საპასუხო რეაქცია არ გამოიწვიონ. ყოველთვის ძალიან ვაკრიტიკებდი ჩვენს ადმინისტრაციას და მოვუწოდებდი მათ, უფრო მკაცრი ყოფილიყვნენ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთის მთელი ეკონომიკა დაახლოებით იტალიის ზომისაა. მაშინ, როცა შეერთებული შტატების 9-ჯერ დიდია... და მასთან ახლოსაც ვერ მოვა, — აღნიშნავს კონგრესმენი.

ვლადიმირ პუტინმა უნდა იცოდეს, რომ ამერიკა არასოდეს შეეგუება უკრაინაში გამოცდილი ჰიბრიდული ომის წარმოების მეთოდს, — ამბობს ადამ კინზინგერი, — განსაკუთრებით ბალტიისპირეთის ქვეყნებში, რომლებიც ჩრდი-



ლო-ატლანტიკური ალიანსის წევრი სახელმწიფოები არიან.

რაც შეეხება საქართველოს და უკრაინის ნატოში გაწევრიანებისკენ სწრაფვას და კითხვას, უნდა წახალისდეს თუ არა კიდევ უფრო მეტად მათი ძალისხმევა თავად ალიანსისგან, კონგრესმენი ასე პასუხობს:

— დიახ, ასე მიმაჩნია. განსაკუთრებით და პირველ რიგში — საქართველოს შემთხვევაში. საქართველო დასავლეთის ძალიან ძლიერი პროდასავლური მოკავშირეა. მან რეალურად შეძლო მთავრობის კორუფციისგან გასუფთავება, თუმცა მნიშვნელოვანი პრობლემები ჯერ კიდევ აქვს და მათზე მუშაობა გრძელდება. ამასთან, საქართველო აშკარად ძალიან მგრძნობიარეა რუსეთის მიმართ: მოწმე ვიყავით იმის, რომ რუსეთი თითქმის საქართველოს დედაქალაქამდე მივიდა და პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მაშინ გემებიც კი გააგზავნა, რის შემდეგაც რუსებმა უკან დაიხიეს.

ადამ კინზინგერთან საუბარი შეერთებულ შტატებში დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებსაც შეეხო. მას არ მოსწონს საკუთარი პარტიის ლიდერის დონალდ ტრამპის მეგობრული პოზიცია პუტინთან მიმართებაში, კომპლიმენტები, რაც მათ ერთმანეთის მიმართ გამოთქვეს და თვლის, რომ ასეთ „მანიპულატორთან“ საუბარი მხოლოდ ძალის პოზიციიდან შეიძლება. შესაბამისად, რუსეთზე დაწესებული სანქციები აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

— ჩვენ ვერ მივცემთ თავს იმის უფლებას, რომ ეკონომიკური ინტერესები ეროვნული უსაფრთხოების და სტაბილურობის ინტერესებზე მაღლა დავაყენოთ... ამ საქმეში დიდი მნიშვნელობის წარმატებას უკვე მივაღწიეთ. ზეწოლა განხორციელდა საფრანგეთზე, რომ რუსებისთვის მისტრალების მიყიდვის ხელშეკრულება გაუქმებული ყო. რუსეთი შავ ზღვაზე დომინირების მიზნით მათ შეძენას ღიად ცდილობდა, — აცხადებს ის.

ადამ კინზინგერის თქმით, ის პირველ რიგში ამერიკელია და შემდეგ რესპუბლიკელი, რაც იმას ნიშნავს, რომ დონალდ ტრამპს ავტომატურად, მხოლოდ პარტიული ნიშნით მხარს არ დაუჭერს. უნდა დარწმუნდეს, რომ ის პრეზიდენტობის ღირსეული კანდიდატია, რომ ადეკვატურად აღიქვამს ისეთ საფრთხეებს, როგორიცაა ბაშარ ალ-ასადი, დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფო“, ტერორიზმი და ვლადიმირ პუტინი.

**ნიუსპრესი**

# „მოსახლეობის 47% ფიქრობს, რომ მედიკამენტების ფასი ძალიან გაიზარდა“

საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს დაკვეთით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიხედვით, მოსახლეობის 47% ფიქრობს, რომ იმ მედიკამენტების ფასები, რისი ყიდვაც ყველაზე ხშირად უწევთ ბოლო 12 თვის განმავლობაში, ძალიან გაიზარდა, 35%-ის აზრით, ცოტათი გაიზარდა, 9%-ის აზრით, არ შეცვლილა, ხოლო 2%-ის აზრით, ცოტათი შემცირდა.

კვლევის მიხედვით, 2014 წლის 1 სექტემბრიდან რეცეპტით შესაძენი წამლების არეალის გაფართოებას მოსახლეობის 51% უარყოფითად აფასებს, რაც 2015 წელთან შედარებით 2 პროცენტული პუნქტით მცირდება, 9% – დადებითად, რაც 2015 წელთან შედარებით ასე 2 პროცენტული პუნქტით მცირდება. 39%-ის აზრით, მათზე და მათ ოჯახზე რეცეპტით შესაძენი წამლების არეალის გაფართოებას არანაირი გავლენა არ მოუხდენია, რაც 2015 წელთან შედარებით 5 პროცენტული პუნქტით იზრდება.

იმ ადამიანების 30%, ვინც კონკრეტულ აფთიაქში ყიდულობს მედიკამენტს, ამ აფთიაქს უპირატესობას ანიჭებს დაბალი ფასის გამო, 24% -– ტერიტორიული სიახლოვის გამო, 14% გათამაშებებში მონაწილეობის ან ბონუს ქულების დაგროვების შესაძლებლობის გამო, 11% მედიკამენტების ხარისხის გამო, 11% მომსახურების ხარისხის გამო, ხოლო 4%-ის აზრით, მიზეზი ის არის, რომ მედიკამენტები, რისი შეძენაც სურს, მხოლოდ ამ კონკრეტულ აფთიაქშია.

— ჩვენ გამოკითხვის მონაცემები შევაჯერეთ, რაც საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ არა უბრალოდ გამოკითხულთა, არამედ კვლევის არეალში მოქცეული მთლიანი მოსახლეობის (გენე-



რალური ერთობლიობის) განწყობებზე, — აღნიშნავენ ორგანიზაციაში.

**მედიანიუსი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# შაორის ტბასთან 4 მაღალი კლასის სასტუმროსა და იახტ კლუბების მშენებლობა იგეგმება

არაბული კომპანია „ისრაელ ახმადოვ ინვესთმენტი“ შაორის ტბის ტერიტორიაზე რეკრეაციული ზონისა და გამაჯანსაღებელი ცენტრის აშენებას გეგმავს, რომელშიც 500 მილიონი დოლარის ინვესტირებას მოახდენს.

გრანდიოზული პოექტის განხორციელებას კომპანია თავის არაბ და ევროპელ ინვესტორებთან ერთად აპირებას.

როგორც კომპანიაში „ბიზნესპრესნიუსს“ განუცხადეს, პროექტის ფარგლებში შაორში 4 სხვადასხვა – 300, 400, 500 და 600-ადგილიანი სასტუმრო, რამდენიმე რესტორანი, მათ შორის ქართული, არაბული, იაპონური, ამერიკული და ფრანგული, 2 იახტ-კლუბი, გოლფ-კლუბი, ბავშვთა გასართოები მოედნები, სპა და ფიტნესცენტრი, აკვა პარკი და კოტეჯები აშენდება.



კომპანიის ინფორმაციით, რაჭაში პროექტის საბოლოო განხორციელების მიზნით მთავრობასთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

„ისრაელ ახმადოვ ინვესთმენთი“ საქართველოში რამდენიმე პროექტს უკვე ახორციელებს. კომპანია ზუგდიდთან ახლოს საკონსერვო ქარხანას აშენებს, მომავალში კი სენაკში აეროპორტის მშენებლობას გეგმავს.

**ბიპიენი**

# დიმიტრი ქუმსიშვილი: „საქართველოს ცა არის დაზღვეული“



საქართველოს ცა დღეიდან არის დაზღვეული, – შესაბამის ხელშეკრულებას საჰაერო ნავიგაციასა და სადაზღვევო კომპანია „უნისონს“ შორის მოეწერა ხელი.

ღონისძიებას ვიცე-პრემიერი, ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი დაესწრო.

**დიმიტრი ქუმსიშვილი:**

– საქართველოს ცა არის უკვე დაზღვეული. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ მოხდება რაიმე გაუთვალისწინებელი ჩვენს საჰაერო სივრცეში გადაფრენის შემთხვევაში, პასუხისმგებლობები სრულად დაზღვეულია მესამე პირისთვის და ეს სადაზღვევო თანხა შეადგენს 500 მილიონ დოლარს. ეს არის ერთი მხრივ, ვალდებულება, რაც ჩვენ გვაქვს ევროპის ცასთან შეერთებით, მეორე მხრივ, ეს არის აუცილებელი თვითონ ქვეყნისთვის, რომ რისკები იყოს სრულად მართული.

აღნიშნული თანხები რეალურად ჩადებულია გადამფრენის ტარიფში, შესაბამისად, ეს პრაქტიკულად გადახდილია გადამფრენი კომპანიების მხრიდან.

საქაერონავიგაციაში აცხადებენ, რომ პროექტი უპრეცედენტოა და მას საქართველოს საავიაციო ისტორიაში ანალოგი არ მოეძებნება.

2016 წლის დასაწყისში გამოცხადდა ღია ტენდერი, სადაც გაიმარჯვა სადაზღვევო კომპანია „უნისონმა“.

საჰაერო სივრცის დაზღვევა ითვალისწინებს საქაერონავიგაციის საქმიანობის შედეგად შესაძლო სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევებს მესამე პირთა წინაშე, ანუ თუ საქართველოს საჰაერო სივრცეში კომპანიის ბრალეულობით მოხდება რაიმე საავიაციო ინციდენტი, დაზარალებულის უფლებები ყოველმხრივ დაცული, ხოლო ზარალი ანაზღაურებული იქნება.

საქაერონავიგაციის საქმიანობის არეალია საქართველოს საჰაერო სივრცე, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამოქალაქო აეროპორტების, აფრენა-დაფრენის ზონები და ოკუპირებული აფხაზეთის საჰაერო სივრცის მაღალი სიმაღლე.

სადაზღვევო კომპანია „უნისონის“ პასუხისმგებლობის ლიმიტი 500 მილიონი აშშ დოლარია.

**ბიპიენი**

# რას სთავაზობს უძრავი ქონების ბაზარი მომხმარებელს



სამშენებლო სფერო საქართველოში წლების განმავლობაში იზრდება და ვითარდება, თუმცა პერიოდულად გარკვეული ჩავარდნები აღნიშნულ სექტორს თან ახლავს.

ჯერ იყო და, 2008 წლის კრიზისმა მენაშენეები მნიშვნელოვნად დააზარალა და შოკური ვითარებიდან გამოსულ ბიზნესს ორი-სამი წელი დასჭირდა ძველი მაჩვენებლების დასაბრუნებლად, მალევე ამ ყველაფერს ლარი-დოლარის კურსის ცვლილება დაერთო, როდესაც ბინის შესაძენად დოლარში ბანკიდან სესხის აღებისგან ბევრი ადამიანი იკავებდა თავს.

რთული ვითარებიდან თავის დასაღწევად დეველოპერებმა ერთმანეთში კონკურენცია გაამძაფრეს და სხვადასხვა შეთავაზებებით, შეღავათიანი პირობებითა თუ ნოვატორული იდეებით მომხმარებლის მოზიდვას ცდილობენ. ბოლო პერიოდში ამ სფეროში კონკურენციის ზრდას სარეკლამო კომპანიებიც ადასტურებენ. მენაშენეები პოტენციური კლიენტების მოზიდვას ახალ-ახალი პირობებით ცდილობენ. შეიძლება ითქვას, რომ უძრავი ქონების ბაზარი, კონკრეტულად სამშენებლო სექტორი, ახალი შეთავაზებების კუთხით მნიშვნელოვნად გააქტიურებულია.

როგორც საქმე.გე-ს რედაქტორი ლელა არაბული „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნავს, კომპანიები საკმაოდ მარტივად ახერხებენ პირობებთან ადაპტირებას და შექმნილი ვითარებისთვის ფეხის აწყობას ცდილობენ.

სამშენებლო კომპანია „არქი ჯგუფის“ მარკეტინგის სამსახურის უფროსი ქეთი არველაძე „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ კომპანიაში გადაწყვეტილებას ბაზრის კვლევიდან გამომდინარე იღებენ და ახალ შეთავაზებებსაც ამის საფუძველზე აკეთებენ.

– გარკვეული სოციალური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ვცდილობთ, რომ მხარდაჭერა გავუკეთოთ მომხმარებელს და აქცენტი გადახდის პირობებზე გავაკეთოთ. როგორც დასრულებულ, ისე მშენებარე პროექტებში მომხმარებელს უძრავ ქონებას გრძელვადიანი განვადებით ვთავაზობთ. ეს არის ის ძირითადი პრინციპი, რაზეც ვმუშაობთ და ამ სისტემის კიდევ უფრო დახვეწასაც ვაპირებთ.

ჩვენი ბინები სხვადასხვა სამომხმარებლო სეგმენტზეა გათვლილი. 1 კვადრატული მეტრის ფასი 400 დოლარიდან იწყება და 3000 დოლარს აღწევს. გადახდის გრაფიკი ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის მოსახერხებელია და ბოლო დროს ეს განსაკუთრებით აქტუალური შეთავაზებაა, – ამბობს ქეთი არვალაძე.

მისივე თქმით, ბოლო პერიოდში სამშენებლო სექტორში სხვადასხვა სახის შეთავაზებები საკმაოდ გააქტიურებულია.

– ჩვენს მაგალითზეც შეიძლება ვთქვა, რომ მომხმარებლების მოთხოვნებზე მორგებას მაქსიმალურად ვცდილობთ. ამ ეტაპზე ჩვენი კომპანიის დიდი დახურული კომპლექსების მშენებლობა რამდენიმე ლოკაციაზე მიმდინარეობს. გამწვანებული ეზო, სკოლა, ბაღი და სხვა ინფრასტრუქტურა ერთ სივრცეში იქნება მოწყობილი და ესეც, რა თქმა უნდა, მომხმარებლის კომფორტის შესაქმნელად კეთდება, – აღნიშნავს ქეთი არველაძე.

სამშენებლო კომპანია 2-ის გენერალური დირექტორი ირაკლი ბურდილაძეც „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აქცენტებს მრავალფეროვან შემოთავაზებასა და სექტორში შექმნილ კონკურენტულ გარემოზე აკეთებს.

– სამშენებლო სფეროში კონკურენცია, რა თქმა უნდა, თანდათან მატულობს, იმის გათვალისწინებით, რომ თბილისში რამდენიმე მრავალბინიანი სამშენებლო პროექტი დასრულდა და ბევრი ახალიც დაიწყო. შესაბამისად, არჩევანი მრავალფეროვანია. ჩვენ მომხმარებლებს შევთავაზეთ სრულად გარემონტებული ბინები სამზარეულოს ავეჯითა და ტექნიკით. პროდუქტი მალევე ძალიან პოპულალური გახდა, – აღნიშნავს 2-ის დირექტორი.

ირაკლი ბურდილაძის თქმით, კომპანიის ყველა შემდგომი პროექტიც ანალოგიური სახით იქნება შეთავაზებული.

– მოქნილი პირობები გვაქვს მათთვისაც, ვისაც სურს ძველი ბინა ახლით შეცვალოს, გადახდის სქემა 10/90 კი წინასწარი შენატანის გარეშე ბინის შეძენის შესაძლებლობას გულისხმობს. მომხმარებელს ყველა ჩვენს კომპლექსში ვთავაზობთ კეთილმოწყობილ ინფრასტრუქტურას, გამწვანებულ ეზოს, თანამედროვე ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებს, კომპლექსის მოვლის მომსახურებას. მათ შორისაა: დაცვა, დასუფთავება, გამწვანების მოვლა, – ამბობს ირაკლი ბურდილაძე.

კომპანიის დირექტორის თქმით, მომხმარებლისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოქნილი გადახდის სქემები. როგორც ირაკლი ბურდილაძე აღნიშნავს, 2 ამ მიმართულებით მუდმივად მუშაობს.

მენაშენეთა ასოციაციის თავმჯდომარის ირაკლი როსტომაშვილის თქმით, სამშენებლო სექტორის ბაზარზე გაჩენილი კონკურენტული გარემო წყალს მომხმარებლის წისქვილზე ასხამს.

– კომპანიები ცდილობენ, პოტენციურ კლიენტებს მაქსიმალურად კომფორტული პირობები შეუქმნან. შემოთავაზებები საკმაოდ მრავალფეროვანი გახდა: ზოგი გარემონტებულ სახლსა და ჩაშენებულ სხვადასხვა სახის ავეჯს, ზოგი კი გამწვანებულ ეზოსა და განვითარებულ ინფრასტრუქტურას სთავაზობს.

მომხმარებელს მსგავსი პირობების მიმართ მოთხოვნილება სულ ჰქონდა, უბრალოდ კომპანიები ამ მხრივ ცოტა ხნის წინ პასიურობდნენ.

დღეს მყიდველს თავად შეუძლია გადაწყვიტოს, უღირს თუ არა დამატებით მომსახურებაში თანხის გადახდა. ფაქტია, რომ მომხმარებელი მეტ ყურადღებას აქცევს გარემოს. შესაბამისად, კომპანიების მხრიდან სხვადასხვა კრიტერიუმების დაკმაყოფილება და შემოთავაზებების ნუსხის გაზრდა აქტუალური გახდა, – აღნიშნავს როსტომაშვილი.

მისი თქმით, კონკურენცია ბაზარზე ფასის დასტაბილურებას შეუწყობს ხელს და თანდათან ბინის ღირებულება რეალურ ნიშნულს მიუახლოვდება.

– კონკურენცია არის ერთადერთი გზა ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ბაზარი თანდათან გაიცხრილება და დარჩებიან ის კომპანიები, რომლებიც მომხმარებლებს უფრო კარგ, მრავალფეროვან და იაფ მომსახურებას შესთავაზებენ, – აღნიშნავს როსტომაშვილი.

**ბიპიენი**

# აპრილში ლარში გაცემული სესხების მოცულობა 0.05 %-ით, უცხოური ვალუტით გაცემული კი 4.6 %-ით შემცირდა

საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს, რომლის თანახმადაც, კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების მოცულობა (არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ჩათვლით), 2016 წლის აპრილში, წინა თვესთან შედარებით 483.9 მლნ ლარით (3.0 პროცენტით) შემცირდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 0.7 პროცენტით გაიზარდა) და მიმდინარე წლის პირველი მაისისათვის 15.5 მლრდ ლარი შეადგინა.

ამავე პერიოდში ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 2.6 მლნ ლარით (0.05 პროცენტით) შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული

სესხების მოცულობა 481.3 მლნ ლარით (4.6 პროცენტით) შემცირდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 1.2 პროცენტით გაიზარდა).

სებ-ის ინფორმაციით, რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის 2016 წლის აპრილის ბოლოს კომერციულ ბანკებს ეროვნული ვალუტით გაცემული ჰქონდათ 1.6 მლრდ ლარის (წინა თვესთან შედარებით 2.2 პროცენტით ნაკლები), ხოლო უცხოური ვალუტით – 5.2 მლრდ ლარის (6.1 პროცენტით ნაკლები) მოცულობის სესხი (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 0.3 პროცენტით ნაკლები).



2016 წლის აპრილის განმავლობაში 1.8 პროცენტით ანუ 143.0 მლნ ლარით შემცირდა რეზიდენტი ფიზიკური პირების დაკრედიტების მოცულობა და მიმდინარე წლის პირველი მაისისათვის 7.9 მლრდ ლარი შეადგინა.

მიმდინარე წლის პირველი მაისისათვის მთლიანი სესხების ლარიზაციის კოეფიციენტმა 36.02 პროცენტი შეადგინა. პირველი აპრილის მდგომარეობასთან შედარებით, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, მთლიანი სესხების ლარიზაცია 0.27 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

**ბიპიენი**

# ქართველი მეცხვარეები ციფრებს და სტატისტიკას არ ენდობიან

მიმდინარე წელს უკვე 7 ათასზე მეტი ცხვარი შემოიყვანეს რუსეთიდან და უცხოეთში ქართულად გაასაღეს.

საქართველოში მეცხვარეობის განვითარება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად არის აღიარებული.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარე წელს საქართველოდან 28.500 სული ცხვრის ექსპორტი განხორციელდა არაბეთში, საუდის არაბეთსა და ყატარში. წელს პირველად განხორციელდა წვრილფეხა ცხოველის ექსპორტი ეგვიპტეში.

ქართული ცხვრით დაინტერესდა ბაჰრეინის სამეფოც, რაც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია.

ამ დარგში არსებული მდგომარეობის შეფასება მეცხვარეთა ასოციაციის ყოფილ ხელმძღვანელს **ბექა გონაშვილს** ვთხოვეთ:

– ნებისმიერი ახალი ბაზრის გახსნა ძალიან კარგი ამბავია, მით უმეტეს, ქართული ცხვრის 70% საექსპორტოა. ახალი ბაზრების ათვისება მნიშვნელოვანია, მაგრამ ერთი რამ უნდა აღვნიშნო: კომპანიას, რომელიც ბაჰრეინის მიმართულებით აპირებს ცხვრის გაყვანას, წლების განმავლობაში სომხური ცხვარი შემოჰყავდა და მერე გაჰყავდა ექსპორტზე, როგორც ქართული. ასე რომ, ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია, თუ ახალ ბაზრებს გავხსნით, მაგრამ ეს სხვა ქვეყნისთვის იქნება სასარგებლო და არა – ჩვენთვის.

ახალი ბაზრების გახსნა ჩვენს სასარგებლოდ უნდა მოხდეს. ბულგარეთის მაგალითს მოვიყვან: ბულგარეთს შეეძლო თურქეთში ცხვრის ექსპორტის განხორციელება, მაგრამ იმის გამო, რომ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებდა, თურქებმა ამ ქვეყნისთვის ბაზარი ჩაკეტეს. შესაბამისად, ბულგარელმა მეცხვარეებმა ძალიან კარგი ბაზარი დაკარგეს. ნამდვილად არ გვსურს, რომ საქართველოშიც იგივე მოხდეს.

***– საქართველოში რა მდგომარეობაა ამ მხრივ?***



– მარტო მიმდინარე წელს, 7 ათასზე მეტი ცხვარი შემოიყვანეს რუსეთიდან, სხვა ქვეყნებში გაიყვანეს და ქართულად გაასაღეს. ქართველი მეცხვარეები ამ პროცესს კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან და თუ სახელმწიფო ამ ფაქტებს კონკრეტული მექანიზმებით გააკონტროლებს, ჩვენ მხოლოდ მივესალმებით და მხარში დავუდგებით. აგიხსნით რატომ: როდესაც აქ სხვა ქვეყნებიდან ცხვარი შემოდის, ძალიან დიდია რისკი, რომ მას სხვადასხვა დაავადება შემოჰყვეს. სომხეთში მაგალითად, ამჟამად გავრცელებულია თურქულის ახალი შტამი, კიდევ კარგი, ამის გამო სომხეთიდან პირუტყვის იმპორტი შეწყდა. ასეთ ღონისძიებებს ხშირად უნდა მივმართოთ, სახელმწიფომ ეს პროცესი უნდა გააკონტროლოს, მით უმეტეს, რომ ჩვენთან აცრები ძალიან კარგად ტარდება. მეორე მიზეზი ის არის, რომ ქართულმა ცხვარმა მსოფლიო ბაზარზე თავისი სახელი უკვე დაიმკვიდრა და როდესაც მის სახელს სხვა ქვეყნები იყენებენ, ეს ნამდვილად არ არის მოსაწონი. თუ სხვა ქვეყნიდან შემოყვანილი ცხვარი რაღაც სტანდარტებს ვერ დააკმაყოფილებს, ამან ქართული ცხვრის იმიჯს უნდა მიაყენოს ჩრდილი. ვიღაცას ეჭვი უნდა შეეპაროს, რომ ჩვენი ცხვარი არ ვარგა, რომ მას აქვს რაღაც დაავადებები.

საუდის არაბეთის ბაზარი ამის გამო ჩვენ დაკარგული გვქონდა, რადგან ამ ქვეყანაში საქართველოდან ავადმყოფი ცხვარი შევიდა. ასეთი ფაქტები პირდაპირ ურტყამს ქართველ მეცხვარეებს, ვისთვისაც ეს საქმე შემოსავლის მთავარი წყაროა.

წარმოიდგინეთ მეცხვარე, რომელიც მთელი წელი ცხვარს უვლის, იმედი აქვს, რომ თავის ნაშრომს გაყიდის და ამ დროს მსგავსი რამ ხდება, ეს მისთვის კატასტროფაა.

***– ყველაფრის მიუხედავად, ბოლო წლების სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ექსპორტის მაჩვენებლები გაზრდილია.***

– ზრდა მართლაც შეინიშნება, მაგრამ ეს არ არის რეალური ზრდა, რადგან ჩვენგან ექსპორტზე სხვა ქვეყნებიდან შემოყვანილი ცხვარი გაჰყავთ. მაგალითად: 2013 წელს საქართველოდან ექსპორტზე 160 ათასი ცხვარი გავიდა, 2014 წელს – 220 ათასი, მაგრამ აქედან 70 ათასი სომხური ცხვარი იყო. ამიტომ, მხოლოდ ციფრებს და სტატისტიკას ვერ ვენდობით.

***– როგორ გამოიყურება დღესდღეობით ქართული ცხვრის საექსპორტო არეალი?***

– საუდის არაბეთი, ლიბია, ყატარი, ლიბანი, აზერბაიჯანი – ეს ქვეყნები ჩვენი ძირითადი დასაყრდენია. შარშან, წლის ბოლოს იორდანია დაიკეტა: იქაური ფერმერები გამოვიდნენ და პროტესტი გამოთქვეს, რადგან იქ არაკეთილსინდისიერი გზით შეჰყავდათ სომხური ცხვარი და როგორც ადგილობრივს, ისე ჰყიდნენ, თანაც, დემპინგურ ფასებში. იორდანიამ თავის ფერმერებზე დროულად იზრუნა და საზღვარი ჩაკეტა.

***– ბატონო ბექა, რით გამოირჩევა ქართული ცხვარი თუნდაც რუსული ან სომხური ცხვრისაგან?***

– ქართული ცხვრის საგემოვნო თვისებები ძალიან მაღალია, რადგან ის ბუნებრივ პირობებში იზრდება. მისი ხორციც უფრო გემრიელია, თუმცა წონით ნაკლებს იწონის და ხორცის წარმოებისთვის ნაკლებად ვარგისია.

სომხური ცხვარიც არ არის ცუდი, მაგრამ არაბებისგან გამიგია, რომ ქართული ცხვარი უფრო მოსწონთ, თუნდაც იმის გამო, რომ სომხური უფრო ცხიმიანია. ვისაც ცხიმიანი ხორცი არ მოსწონს, ქართული ცხვრის ყიდვას ამჯობინებს, ამავე დროს, სომხური ცხვარი წონით უფრო მეტია და ამ მხრივ მისი ყიდვა უფრო მომგებიანია.

***– რატომ ვერ შეძლეს ჩვენმა მეცხვარეებმა თურქეთის და ევროკავშირის ბაზრებზე შესვლა?***

– თურქეთი თავის ბაზარს ასე ადვილად არ ხსნის. დღესდღეობით ამ ქვეყანამ ძალიან მკაცრი წესები დაგვიწესა. ჩვენც უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრი რამ გვაქვს გამოსასწორებელი. იგივე ითქმის ევროკავშირის ქვეყნებზეც, სადაც ჯერ მხოლოდ მატყლის შეტანა შეგვიძლია. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, ევროპაში რომ შევიდეთ და ვიღაცამ ისევ გააგრძელოს სომხური, ან რუსული ცხვრის შეყვანა და მისი ქართულად გასაღება – ამას იქ არავინ გვაპატიებს. ასე რომ, ამ ბაზრებზე შესვლა მომავლის საქმეა.

***– თქვენი აზრით, მეცხვარეობის დარგში ყველაზე პერსპექტიული მიმართულება რომელია, რას უნდა მიანიჭონ უპირატესობა ქართველმა მეცხვარეებმა?***

– ჯერ იმდენი პრობლემა გვაქვს მოსაგვარებელი, რომ ამაზე ლაპარაკი რთულია, მაგრამ ბიოორგანული მეურნეობების განვითარება ჩვენთვის ყველაზე პერსპექტიული გზაა. მართალია, ჰორმონებს და ქიმიურ პრეპარატებს ქართველი მეცხვარეები არ იყენებენ, მაგრამ მარტო ეს არ კმარა: საძოვარიც კი ბიოლოგიურად სუფთა უნდა იყოს, რომ საბოლოოდ, ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტი მივიღოთ. თუ მართლა გვსურს, რომ საქართველოში მეცხვარეობა განვითარდეს, ამ დარგში სერიოზული მუშაობა და სახელმწიფოს მხარდაჭერაა საჭირო.

**ბიპიენი**

# ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით. ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ამავე წელს პირველად გაიცა სერთიფიკატი CE პროდუქტი რომელსაც მალავს ფარმაცევტული ბაზარი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთიერებათა ცვლა), აქვეითებს მადას, გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, ამაღლებს სქესობრივი პოტენციის დონეს, ხელს უწყობს „სქესობრივი მადის“ აღძვრას. ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“. უცნაურია, დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ, რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმავლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი, გერმანიუმი) ნეოდიმი (Nd) იშვიათი მინერალია დედამიწაზე, იგი არის მცირე ზომის, აქვს ძლიერი მაგნიტური ძალა. ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, არ იწვევს ალერგიას. მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე.

**ფასი 50 ლარი.**

---

1) წლების განმავლობაში მქონდა დისკომფორტი ზურგის და წელის არეში, მქონდა დაძაბულობა და ტკივილი კისრისა და კეფის არეში, ამინდის ცვლილება მოქმედებდა უარყოფითად, მაწუხებდა არტერიულო წნევა. ტიტანის სამაჯურის წყალობით მომეხსნა ყველა ზემოთ აღნიშნული ტკივილი. დიდი მადლობა.

**(ნინო.გ.) თბილისი**

2) მაწუხებდა ოსტეოქონდროზი, მქონდა კისრის მალების ძლიერი ტკივილი, ორი თვის განმავლობაში საგრძნობლად გამიუმჯობესდა მდგომარეობა. ძალიან კმაყოფილი ვარ, თავს ვგრძნობ შესანიშნავად.

**(ლილი.შ) ხაშური**

3) წლების განმავლობაში მაწუხებდა ყურებში შუილი, წელისა და ფეხის ტკივილი, სამაჯურის ტარება შვილმა მირჩია. პირველივე დღესვე ვიგრძენი შვება, ერთი თვის განმავლობაში კი ალაგდა ჩემი ყველა ჩივილი, თავს მსუბუქად და ბედნიერად ვგრძნობ. დიდი მადლობა და წარმატებები ამ ღვთისნიერ საქმიანობაში.

**(ცისანა.ლ) თბილისი**

4) მართალი გითხრათ, არც მჯერა თუ ოდესმე შესაძლებელი იქნებოდა არტერიული წნევისაგან, ჩემი ქრონიკული ტკივილებისგან გათავისუფლება. ბავშვობიდან მაწუხებდა შაკიკის ურთულესი ფორმა. გადავწყვიტე შემეძინა ტიტანის სამკურნალო სამაჯური. მეორე დღესვე ვიგრძენი შვება. ტკივილების ხანგრძლივობა და სიმძლავრე დღითიდღე მცირდება. წნევის პრობლემა სრულიად მოხსნილია. დიდი მადლობა.

**(არჩილ.ბ) ბათუმი**

5) ახლობელმა მიამბო სამაჯურის შესახებ, არ მჯეროდა, მაგრამ მაინც გადავწყვიტე გამოყენება. მაწუხებდა ჭარბი წონა, გულძმარვა, კოლიტი. ქრონიკული დაღლილობის სინდრომი, სახსრების ტკივილი, პირველივე დღეებიდან ვიგრძენი ენერგიის მოზღვავება, საოცარი სიმსუბუქე, 2-3 კვირაში გამიქრა სიმსუნაგის შეგრძნება, ტკბილეულზე მოთხოვნა აღარ მქონდა, მადა საგრძნობლად დამიქვეითდა. მეორე კვირიდანვე გამიქრა ტკივილები სახსრებში, საოცრად მსუბუქად დავიწყე მოძრაობა. გამიუმჯობესდა გუნება-განწყობა, დამიბრუნდა ცხოვრების ხალისი, მომიწესრიგდა ძილი, მომეხსნა ხველა. მომიწესრიგდა კუჭ-ნაწლავის პრობლემები, დავიწყე ისეთი პროდუქტების მიღება, რომლებსაც ადრე ვერიდებოდი, ნაწლავების მოქმედება გახდა რეგულარული და ყოველდღიური.

გამიუმჯობესდა კანის, ფრჩხილების მდგომარეობა, შემიჩერდა თმის ცვენა. გამიქრა ტკივილები ზურგისა და წელის არეში. რაც მთავარია, დავიწყე წონაში კლება, 3 თვის ბოლოს აღმოჩნდა, რომ დავიკელი 12 კგ-მდე. დიდი მადლობა.

**(ალეკო.ს) რუსთავი**

6) უკვე თვენახევარია, რაც ტიტანის სამაჯურს ვატარებ. პირველივე დღიდან ვიგრძენი საოცარი სიმშვიდე, თანდათან მომიწესრიგდა ნერვული სისტემა, აღარ ვარ ისე აღგზნებული და ნერვიული.

**(ანი.ნ) ქუთაისი**

**მისამართი ქ.თბილისი ვაჟა ფშაველას 79. ტელ.: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე 579 885 996**
**ანგარიშის ნომერი**
**საქართველოს ბანკი GE79BG0000000327063600**

# როგორ გასამართლდება გიგა ოთხოზორიას მკვლელი?

მარიამ მჭედლიშვილი

**გიგა ოთხოზორიას მკვლელობის შემზარავი ფაქტი საქართველოს პროკურატურამ უკვე გამოიძია. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთში თბილისის იურისდიქცია ვერ ვრცელდება, გაურკვეველია, როგორ უნდა გასამართლდეს და დაისაჯოს მკვლელი ე. წ. მესაზღვრე.**

ამ ტრაგიკულ შემთხვევას აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის სამხედრო პროკურატურაც იკვლევს. მისი მონაცემებით, გიგა ოთხოზორიას საბუთები არ ჰქონდა წესრიგში, რასაც შელაპარაკება მოჰყვა, რომელიც მკვლელობით დასრულდა.

აფხაზეთის ლეგიტიმურ სტრუქტურებში აცხადებენ, რომ ამ ე. წ. საზღვარზე, ანუ საოკუპაციო ზოლზე მდგარი პირები, ე. წ. მესაზღვრეები, უმეტესად არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებიან. ისინი გადასვლა-გადმოსვლისას ადამიანებს არაოფიციალურ თანხებს სძალავენ. გიგა ოთხოზორია იმის მსხვერპლი გახდა, რომ ქრთამი არ გადაიხადა.

ქართული და აფხაზური მხარეები ერთმანეთთან მხოლოდ გალის შეხვედრებზე, ანუ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების საკითხებზე მომუშავე ჯგუფების საქმიანობისას, ასევე ჟენევის დისკუსიებზე ხვდებიან.

გიგა ოთხოზორიას მკვლელობას ამ ფორმატებშიც შეეხებიან, ასევე დაგეგმილია ამ საკითხის წამოწევა აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებებისას.

ჟენევის დისკუსიების მორიგი რაუნდი 14-15 ივნისს უნდა გაიმართოს. აფხაზური მხარე ითხოვს, რომ ჟენევაში ქართულმა მხარემ აფხაზურს გადასცეს მკვლელობის გამოძიების მასალები.

აფხაზური წყაროების ცნობით, აფხაზეთის საზოგადოებაში მომხდარის გამო დიდი შეშფოთებაა. საზოგადოება საჭიროდ მიიჩნევს დამნაშავის დასჯას. ეს, მოქალაქეების აზრით, აუცილებელია არა მარტო სამართლიანობისათვის, არამედ აფხაზეთის იმიჯისათვის.



როგორც ჩანს, აფხაზეთის საზოგადოება იმედოვნებს, რომ მართლმსაჯულების აღსრულებით მეტი შანსია, რომ აფხაზეთი დადებითად წამოჩნდეს საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში.

აფხაზეთის საზოგადოებას გაუმტყუნდა აფხაზეთის აღიარების მოლოდინი. ერთ-ერთი თვითაღიარებული წარმონაქმნი, რომელიც აფხაზეთს ცნობს, ცხინვალის რეგიონია. ერთი დღის წინ აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაცია ე. წ. სამხრეთ ოსეთს სტუმრობდა.

აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრ ლეონიდ ძიაპშბამ ე. წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტს ლეონიდ თიბილოვს განუცხადა, რომ ორ უწყებას შორის თანამშრომლობის განვითარება ხელს უწყობს დანაშაულთან ბრძოლას და წესრიგის დაცვას.

ცხინვალში, როგორც ჩანს, დამნაშავეობასთან ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი ე. წ. საზღვრის ჩაკეტვა, ანუ ქართველებისათვის ე. წ. საოკუპაციო ზოლზე გადასვლის აკრძალვაა. ამის შედეგად ადამიანები ახლობლების საფლავებზე ვერ მიდიან. მორიგი შეზღუდვა სკოლებში ბოლო ზარის დღესაა დაგეგმილი.

ბოლო დროს გავრცელდა ინფორმაცია იმაზე, რომ აფხაზეთში კულტურულ ავტონომიას მოითხოვს სომხური მოსახლეობა. იმის გათვალისწინებით, რომ სომხურ დიასპორას არაერთი ფარული თუ ღია პრეტენზია გამოუთქვამს აფხაზეთში და სომხების გაძლიერებას რუსეთიც ხელს უწყობს, ეს ინფორმაცია ადვილად დასაჯერებელი გამოდგა.

აფხაზეთის პარლამენტის სომეხი დეპუტატები რობერტ აილიანი და ლევონ გალუსტიანი კატეგორიულად უარყოფენ სომხების მხრიდან ავტონომიის მოთხოვნას. მათი მტკიცებით, ამ ჭორს ავრცელებს ის, ვისაც აფხაზეთში ეთნიკური ჯგუფების დაპირისპირება უნდა.

დეპუტატების თქმით, პროვოკაციული მონაჭორი ონლაინგამოცემა კავკაზ პლუსმა გაავრცელა. ამ გამოცემამ დაწერა, რომ სომხურმა ორგანიზაცია „კრუნკმა“ გამოაცხადა სომხური ეროვნულ-კულტურული ავტონომიის შექმნის შესახებ.

აილიანი და გალუსტიანი აღნიშნავენ, რომ ანონიმები, რომლებიც „კრუნკის“ სახელით მაუწყებლობენ, ცდილობენ დაარღვიონ აფხაზებისა და სომხების ძმობა. ისინი ამაში „საქართველოს ავტორებს“ ხედავენ. ორგანიზაცია „კრუნკის“ ხელმძღვანელი ტოპოლიანი, მათი თქმით, ომში აფხაზების გვერდით იბრძოდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

— დიდმა ვლადისლავმა ერთად ყოფნა გვიანდერძა, — აცხადებენ აფხაზეთის სახალხო კრების სომეხი დეპუტატები.

## საერთაშორისო

# ნადეჟდა სავჩენკო გაათავისუფლეს!



გუშინ, 25 მაისს, ნადეჟდა სავჩენკო გაათავისუფლეს.

ბორისპოლის აეროპორტში ნემსი არ ჩავარდებოდა. სავჩენკოს უამრავი ხალხი შეეგება. აქ იყვნენ მისი დედა მარია ივანოვნა, უმცროსი და ვერა, ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, უბრალო ხალხი. გაისმოდა შეძახილი: ნადეჟდას გაუმარჯოს! თვითმფრინავის ტრაპიდან ჩამოსული სავჩენკო შედგა, მას მეგაფონი არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ხმამაღლა დაიძახა:

— დაცვას ვთხოვ ჩამომეცალოს და ჩემს ხალხთან მიმიშვას! — ეს იყო მისი პირველი სიტყვები.

სავჩენკომ შეკრებილთ ბოდიში მუხადა, ორი წელი განმარტოებულ საკანში ვიმყოფებოდი და ხალხთან ურთიერთობას გადავეჩვიეო. მან შეკრებილთ აღუთქვა: სანამ პირში სული მიდგას, უკრაინისთვის ვიბრძოლებ!

— მე არაფრის მეშინია. ასე იყო მაშინ, როცა მაიდანზე ვიბრძოდი, მაშინაც, როცა დონბასში საომრად წავედი და მაშინაც, როცა განმარტოებულ საკანში გამომამწყვდიეს, — თქვა რუსული ტყვეობიდან გათავისუფლებულმა უკრაინელმა მფრინავმა.

გაისმა აპლოდისმენტები. ვილაცამ სავჩენკოს ვეებერთელა თაიგული მიართვა. ის მისმა უმცროსმა დამ ვერამ გამოართვა. გაისმა სკანდირება.

— დიდება ერს!

სავჩენკომ გაიცინა, მუშტი აღმართა და შესძახა:

— სიკვდილი მტერს!

რამდენიმე წუთის შემდეგ ის გასასვლელისაკენ გაემართა.

# ლტოლვილები ხმელთაშუა ზღვაში დახრჩობას გადაარჩინეს

იტალიის სანაპირო დაცვის თანამშრომლებმა დახრჩობისაგან იხსნეს ლტოლვილები, რომლებიც ხმელთაშუა ზღვით ევროპაში არალეგალურად შეღწევას ლამობდნენ.



— სულ გადარჩენილთა რაოდენობა 5.500-ს აღწევს, — იტყოიბინება „დოიჩე ველე“.

# დიმიტრი მედვედევი: „ყირიმელებო, თქვენთვის საპენსიო ფული არა გვაქვს!“



ყირიმში რუსეთის პრემიერ-მინისტრი დიმიტრი მედვედევი ჩავიდა. მოსახლეობასთან შეხვედრისას მან აღიარა, რომ შეფერხებები ყირიმელებისთვის პენსიის გაცემაში კვლავაც იქნება:

— თქვენთვის საპენსიო ფული არა გვაქვს. მოითმინეთ! ხომ ხედავთ, რაც ხდება! უცხო ქვეყნები გვეომებიან! —თქვა მედვედევმა.

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მედვედევის ვიზიტის გამო ოფიციალურო პროტესტი განაცხადა.

— ბატონ მედვედევს უფლება აქვს ყირიმში ჩავიდეს, მაგრამ თავისი ვიზიტი უკრაინის ხელისუფლებას უნდა შეუთანხმოს, რადგანაც ყირიმი უკრაინის ტერიტორიაა, — ნათქვამია განცხადებაში.

# თურქეთი: ტერაქტები არ წყდება

თურქეთში მორიგი ტერაქტი მოხდა. ვანის პროვინციაში აფეთქდა მანქანა, რომელსაც ჯარისკაცები გადაჰყავდა. დაღუპულია ოთხი ჯარისკაცი. თურქი ძალოვნები ვარაუდობენ, რომ ტერაქტი ქურთების მუშათა პარტიამ მოაწყო.




მომხდარი ფაქტის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# დონბასი: ესკალაცია გარდაუვალია?

მდგომარეობა დონბასში რთულდება. ნორმანდიული ოთხეულის ლიდერთა სატელეფონო საუბარმა სიტუაცია ვერ განმუხტა. ვლადიმერ პუტინი იძულებული გახდა დონბასში ეუთოს პოლიციური მისიის განლაგებას დათანხმებოდა, თუმცა საკუთარი პირობებიც წამოაყენა:

— უნდა დადგინდეს როგორც ამ მისიის უფლებამოსილება, ასევე რაოდენობაც!

იმავე დღეს სეპარატისტებმა და რუსმა ჯარისკაცებმა განახორციელეს ავდეევკის ქვემეხებით დაბომბვა. შედეგად დაიღუპა 7 უკრაინელი ჯარისკაცი, 9 კი დაიჭრა. „ეს არის ჩვენი ყველაზე დიდი დანაკარგი მიმდინარე წელს“, — ამბობს უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანი ტურჩინოვი. სეპარატისტებმა და რუსმა ჯარისკაცებმა ქვემეხები დაუშინეს აგრეთვე გრანიტნოეს, მარინკას, შიროკინოს. მტერი შეეცადა გრანიტნოესთან უკრაინელთა თავდაცვა გაერღვია, მაგრამ შეტევა მოგერიებულ იქნა. გასული დღე-ღამის განმავლობაში რუსებმა უკრაინულ ფორმირებებს ცეცხლი 75-ჯერ გაუხსნეს. ყველაზე მძიმე მდგომარეობა ავდეევკასთანაა. იქ ბრძოლები არც დღისით, არც ღამით არ წყდება.



ცნობილი ექსპერტი ფისენკო თვლის, რომ დონბასში სიტუაცია შემთხვევით როდი გამწვავდა. არც ისაა შემთხვევითი, რომ ე.წ. „დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკების“ ლიდერებმა ზახარჩენკომ და პლოტნიცკიმ ეუთოს საპოლიციო მისიის დონბასში შეშვებაზე კატეგორიული უარი განაცხადეს. პუტინი მაქსიმალურად აწელავს მოლაპარაკებებს. ამასობაში კრემლი როგორც დონბასის ფრონტზე წარმატების მიღწევას, ასევე საერთაშორისო მდგომარეობის თავის სასარგებლოდ შეცვლასაც შეეცდება. სეპარატისტები და რუსი ჯარისკაცები თავიანთ შეტევებს გააძლიერებენ, რათა უკრაინული ფორმირებები ავდეევკიდან, მარინკიდან, მარიუპოლიდან განდევნონ. პარალელურად უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზე პროვოკაციები გაძლიერდება. რეალურია საფრთხე კიევში ფსევდო-პატრიოტული ლოზუნგებით გადატრიალების ორგანიზებისა. კრემლში დარწმუნებულნი არიან, რომ შედეგად უკრაინას ფართომასშტაბიანი შიდა დაპირისპირებები მოიცავს და საერთაშორისო მდგომარეობაც რუსეთის სასარგებლოდ შეიცვლება. დასავლეთიც უკვე რუსეთთან ერთად უკრაინაში მშვიდობის აღდგენას შეეცდება, ანუ მოსკოვისადმი დაწესებული სანქციები გაუქმდება, უკრაინაც იძულებული გახდება მშვიდობის კრემლისეული სქემა მიიღოს. ასეთია პუტინის გეგმა.

— რუსეთმა თავისი სქემის განხორციელება უკვე დაიწყო. შედეგად დონბასში მდგომარეობა დაიძაბა. მოხდება თუ არა ესკალაცია, ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რაოდენ სიმტკიცეს გამოიჩენს ჩვენი ხელისუფლება და ხალხი, რაოდენ პრინციპული იქნება დასავლეთის პოლიტიკა რუსეთის მიმართ, — აცხადებს ფისენკო.

## ტრამპმა და ჰილარი კლინტონმა პრაიმერის მორიგ რაუნდში გაიმარჯვეს



დონალდ ტრამპმა და ჰილარი კლინტონმა ვაშინგტონის შტატში ჩატარებულ პრაიმერში გაიმარჯვეს. ტრამპმა მიიღო ხმების 70 პროცენტი და პრაქტიკულად პრაიმერში გამარჯვება გაინაღდა. სავარაუდოდ, რესპუბლიკური პარტიიდან აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატიც ის იქნება. რაც შეეხება კლინტონს, მისმა გამარჯვებამ ძალთა განლაგება ვერ შეცვალა. ქალბატონი ჰილარი დამაჯერებლად ლიდერობს, თუმცა მისი კონკურენტი ბარნი სანდერსი იხტიბარს არ იტეხს:

— მისის კლინტონმა გამარჯვება მეტად ადრე ირწმუნა, — აცხადებს სანდერსი.

## ერდოღანი ევროკავშირს ულტიმატუმს უყენებს



თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა განაცხადა, რომ ევროკავშირთან ხელშეკრულება ლტოლვილებთან დაკავშირებით შესაძლოა დაიბლოკოს:

— ევროპა ვიზების ლიბერალიზაციას შეგვპირდა, თუმცა პირობის შესრულებაზე არავინ ფიქრობს. ამის გარეშე ლტოლვილებთან დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებაც არ მოხდება, — თქვა ერდოღანმა.

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

## ობამა იაპონიაში ჩავა

ვიეტნამის შემდეგ აშშ-ს პრეზიდენტი იაპონიაში ჩავა. ის მონაწილეობას მიიღებს დიდი შვიდეულის შეკრებაში. ამას გარდა, პრეზიდენტი მშვიდობის პარკსაც ეწვევა.

— აშშ-ში მიმდინარეობს ცხარე დისკუსია თემაზე, უნდა მოიხადოს თუ არა ობამამ ბოდიში ხიროსიმას და ნაგასაკის ატომური ბომბარდირების გამო, რასაც ადგილი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჰქონდა, — იტყობინება „ამერიკის ხმა“.

ამერიკელთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ხიროსიმას და ნაგასაკის ატომური ბომბარდირება აუცილებელი იყო, რათა სახმელეთო ოპერაციის დროს ამერიკელ ჯარისკაცებს შორის მასიური მსხვერპლი თავიდან აეცილებინათ. ცნობილი რუსი მწერალი იულიან სემიონოვი აცხადებდა, რომ იაპონიაზე ატომური ბომბის ჩამოგდება ამერიკელთა მხრივ შურისძიების აქტი იყო:

— იაპონელები ტყვე ამერიკელებს უაღრესად სასტიკად ექცეოდნენ. მათზე ატარებდნენ ცდებს, ზოგიერთს კი ღვიძლს სჭრიდნენ და ჭამდნენ, რადგანაც იაპონური მითოლოგიის თანახმად, თუკი მტერს მოკლავ, ხოლო მის ღვიძლს შეჭამ, მისი ძალა



შენზე გადმოვა, — წერს სემიონოვი.

აშშ-შიც დღემდე ცხარე დისკუსია მიმდინარეობს თემაზე: საჭიროა თუ არა იაპონიის ატომური ბომბარდირების გამო ბოდიშის მოხდა.

## სირიაში რუსული ავიაბაზა ააფეთქეს

ე.წ. „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებმა განახორციელეს თავდასხმა რუსულ ავიაბაზაზე, რომელიც დასახლებულ პუნქტ იასის მახლობლად მდებარეობს. ხსენებული ბაზა ასადის შეიარაღებულ ძალებს ეკუთვნოდათ, ხოლო ერთი კვირის წინ ის ასადის ბრძანებით რუსებს გადასცეს.

— ბაზაზე თავდასხმის შედეგად აფეთქებულია ოთხი რუსული ვერტმფრენი, — იტყობინება ბიბისი.



დამოუკიდებელი წყაროები რუსულ ბაზაზე თავდასხმის ფაქტს ადასტურებენ და აცხადებენ, რომ არის მსხვერპლი რუს სამხედროებს შორის. ამავე დროს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა იგორ კალაშნიკოვმა უარყო ინფორმაცია რუსული ბაზის აფეთქებისა და რუსი ჯარისკაცების დახოცვის თაობაზე:

— ესაა პროპაგანდა და არა სიმართლე, — აცხადებს კალაშნიკოვი.

## სირია: რაკკასთან ბრძოლები მიმდინარეობს



სირიის დემოკრატიულმა არმიამ რაკკას იერიში დაიწყო. როგორც ცნობილია, ეს ქალაქი ე.წ. „ერაყისა და ლევანტისის სახელმწიფომ“ თავის დედაქალაქად გამოაცხადა. ქურთები თავის მხრივ რაკკას თავისად თვლიან.

— რაკკა უმეტესწილად ქურთებით იყო დასახლებული. ექსტრემისტებმა ჩვენი ხალხის ნაწილი დახოცეს, ნაწილი გააძევეს, — აცხადებს ქურთების ერთ-ერთი ლიდერი ტაჰირი.

ქურთებიც ისლამისტების წინააღმდეგ გააფთრებით იბრძვიან. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, ბრძოლა უკვე რაკკას ჩრდილოეთ ნაწილში მიმდინარეობს. ქურთების ლიდერები აცხადებენ, რომ მალე ისლამისტებისაგან ქალაქის გათავისუფლებას შეძლებენ.

— ამერიკელი ექსპერტები ასეთ ოპტიმიზმს არ იზიარებენ. ისინი თვლიან, რომ ქალაქის აღება შესაძლოა გაჭიანურდეს, — იტყობინება „ამერიკის ხმა“.

სირიის დემოკრატიული არმია დღეისათვის 25.000-ს მეომარს ითვლის. აქედან ქურთები 12.000-ს შეადგენენ, არაბები 8. 000-ს, დანარჩენს სხვა ეროვნების ჯარისკაცები. ამერიკელები ცდილობენ, რომ არმიაში არაბების რაოდენობა მაქსიმალურად გაზარდონ.

## ლუკაშენკო ეშმაკობს



ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ განაცხადა, რომ დამოუკიდებლობა მისთვის უმთავრესი ფასეულობაა. საპარლამენტო არჩევნების წინ ალექსანდრ გრიგორიევიჩმა შემდეგი განცხადება გააკეთა:

— სახელმწიფო დონეზე დავეხმარებით მათ, ვინც ბელორუსის დამოუკიდებლობას მხარს უჭერს!

ამავე დროს ლუკაშენკო არ დაესწრო ბელორუსი ეროვნული გმირის, გენერალ სტანისლავ ბულაკ-ბალახოვიჩის (1884–1940) ხსოვნის საღამოს, რომელიც ბელორუსის მეცნიერებათა აკადემიის შენობაში გაიმართა. ბალახოვიჩი, როგორც ცნობილია, როგორც რუსეთის იმპერიას, ასევე ჰიტლერულ მესამე რაიხსაც დაუპირისპირდა და ამ ბრძოლაში დაიღუპა. ასევე უარი ითქვა სახელმწიფო ენად ბელორუსულის გამოცხადებაზე.

— ბელორუსი მოსახლეობის უმრავლესობა რუსულენოვანია, შესაბამისად რუსული ენისათვის სახელმწიფო სტატუსის მოხსნა დემოკრატიის პრინციპებიდან გადახვევაა, — თქვა ლუკაშენკომ.

რაც შეეხება რუსეთ-ბელორუსს შორის კავშირის გაწყვეტას, ან ევრაზიული კავშირიდან გასვლას, ამაზე ლუკაშენკოს პოზიცია შემდეგია:

— რუსეთთან კავშირი უფრო ბელორუსისათვისაა ხელსაყრელი! მისი გაწყვეტა სიგიჟეა! იგივე შეიძლება ითქვას ევრაზიულ კავშირზეც, — აცხადებს ლუკაშენკო.

ევროპასთან ურთიერთობების დარეგულირებაზეც ბელორუსის პრეზიდენტს საინტერესო პოზიცია გააჩნია:

— ბუნებრივია, ჩვენ ევროპასთან ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობები გვსურს, მაგრამ ეს არ მოხდება ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორ რუსეთთან ურთიერთობების ხარჯზე, — ამტკიცებს ლუკაშენკო.

## გენერალი პაველი: „ნატო რუსეთის აგრესიაზე რეაგირებას მოახდენს“

ნატოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარემ, გენერალმა პაველმა განაცხადა, რომ რუსეთის აგრესიას რეაგირება აუცილებლად მოჰყვება. პაველმა ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსეთი თავის შეიარაღებულ ძალებს აძლიერებს, პარალელურად იზრდება რუსული ძალების აქტიურობა უკრაინაში. საფრთხე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს პოლონეთს, ჩეხეთს, აგრეთვე ბალტიისპირეთის ქვეყნებსაც ემუქრება.

— რომ არა რუსეთის აგრესია უკრაინაში ან სირაში, რუსეთ-ნატოს ურთიერთობები არ დაიძაბებოდა, — თქვა პაველმა.

გენერალმა აღნიშნა, რომ არსებობს ზღვარი, როცა მოთმინების ფიალა ივსება და აგრესიას შესაბამისი რეაგირება მოჰყვება.

— ნატო რუსეთის აგრესიასთან შეგუებას არ აპირებს. ჩვენ სათანადო რეაგირებას მოვახდენთ როგორც ნატოს წევრ ქვეყნებზე, აგრეთვე უკრაინაზე ფართომასშტაბიანი თავდასხმის შემთხვევაში, — განაცხადა პაველმა.



**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# საქართველოს ნაკრებმა შეკრება ნაკლულმა დაიწყო



ვლადიმერ ვაისის ხელმძღვანელობით, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ევროპაში 15 დღიანი საწვრთნელი შეკრება დაიწყო. ეროვნული გუნდი ავსტრიის ქალაქ ლინცთან ახლოს მდებარე დაბა ფელდკირხენში ერთი კვირა დარჩება. ვაისის განკარგულებაში სადღეისოდ, 25 ფეხბურთელის ნაცვლად, 22 შეგირდია.

დუისბურგის ქართველი შემტევი გიორგი ჭანტურია ეროვნულ ნაკრებს უახლოეს დღეებში შეუერთდება. ჩვენებურმა ნაკრების სადებიუტო ვარჯიში დუისბურგის საპლეიოფო მატჩის გამო გამოტოვა. გიორგი აბურჯანია კი, რომელსაც სეგუნდა დივიზიონში გადამწყვეტი მატჩები აქვს ჩასატარებელი, ნაკრების მწვრთნელთან შეთანხმებით ეროვნულ გუნდს თვის ბოლოს შეუერთდება. ნაკრებს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უახლოეს ამხანაგურ მატჩებში ჯანო ანანიძე გამოაკლდა.

შეგახსენებთ, რომ საწვრთნელი შეკრების ფარგლებში საქართველოს ნაკრები პირველ ამხანაგურ მატჩს ევროპის ჩემპიონატის მონაწილე სლოვაკეთის წინააღმდეგ 27 მაისს, ავსტრიის ქალაქ ველსში ჩაატარებს. 3 ივნისს რუმინეთის ეროვნულ გუნდს ქართველი ფეხბურთელები ბუქარესტში შეხვდებიან. ევროპის მოქმედ ჩემპიონ ესპანეთთან თამაში კი 7 ივნისს, ხეტაფეს სტადიონზე შედგება.

**საქართველოს ნაკრებმა ავსტრიაში პირველი ვარჯიში ასეთი შემადგენლობით გამართა:**

**მეკარეები:** ნუკრი რევიშვილი (მორდოვია, რუსეთი), გიორგი მაკარიძე (ფეირენსე, პორტუგალია), როინ კვასხვაძე (ტორპედო);

**მცველები:** გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), სოლომონ კვერკველია (რუბინი, რუსეთი), ლაშა დვალი (სლასკი, პოლონეთი), ალექსანდრე ამისულაშვილი, ოთარ კაკაბაძე, უჩა ლობჟანიძე (ყველა დინამო თბ), გიორგი ნავალოვსკი (სკა-ენერგია, რუსეთი), ზურაბ ცისკარიძე (ტეპლიცე, ჩეხეთი);

**ნახევარმცველები:** ჯაბა კანკავა (რეიმსი, საფრანგეთი), ნიკა კვეკვესკირი (ინტერი, აზერბაიჯანი), ლევან ყენია (სლავია, ჩეხეთი), ალექსანდრე კობახიძე (დნიპრო, უკრაინა), ვალერი ყაზაიშვილი (ვიტესი, ჰოლანდია), თორნიკე ოქრიაშვილი (ესკიშეჰირსპორი, თურქეთი), ჯაბა ჯიღაური, ვახტანგ ჭანტურიშვილი (ორივე დინამო თბ);

**თავდამსხმელები:** ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), ვლადიმერ დვალიშვილი (პოგონი, პოლონეთი), გიორგი ქვილითაია (დინამო თბ).

# მორიგი ოლიმპიური დოპინგ-სკანდალი

12 ქვეყნის 31 სპორტსმენს შესაძლოა რიოს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება ჩამოართვან. ამის შესახებ განცხადებას მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს (ვადა) ავრცელებს, რომელიც ჯერ კიდევ 2008 წელს, პეკინის ოლიმპიადაზე აღებული სინჯების განმეორებითი ტესტირების შედეგებს შეეხება.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თხოვნით, ვადა-მ ამ დღეებში 454 სინჯი გადაამოწმა და ეჭვმიტანილთა სიაში უპირატესად სწორედ ის სპორტსმენები მოხვდნენ, რომლებსაც მოპოვებული აქვთ წლევანდელი თამაშების ლიცენზია. 31 შემთხვევაში დადასტურდა აკრძალული პრეპარატის გამოყენების ფაქტი, რასაც მომდევნო განხილვების შემდეგ სოკ-ისა და საერთაშორისო ფედერაციების ადეკვატური სანქციები უნდა მოჰყვეს.

სოკ-ი უკვე დაუკავშირდა შესაბამის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს და გადაუგზავნა ვადა-ს მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგები. მხილებულ სპორტსმენთა თითქმის ნახევარი – 14 სპორტსმენი რუსეთის წარმომადგენელია, მათ შორის 9 მძლეოსანი 2008 წლის ოლიმპიადის მედალოსანია.

სოკ-ის გადაწყვეტილებით, ასევე გადამოწმდება 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადაზე აღებული 250 დოპინგ-სინჯი. ვადა-ს მიღებული აქვს დავალება, რომ საბოლოო დასკვნა რიოს ოლიმპიადის დაწყებამდე წარმოადგინოს. საინტერესოა, რომ პარალელურ რეჟიმში დოპინგ-ტესტს დაექვემდებარება იმ სპორტსმენთა სინჯები, რომლებმაც პეკინისა და ლონდონის თამაშებზე მაღალი ადგილები დაიკავეს და, შესაძლოა, დისკვალიფიცირებული მედალოსნების ნაცვლად, პრიზიორებად ისინი გამოაცხადონ.



ახლო მომავალში უნდა გამოქვეყნდეს აგრეთვე იმ გამოკვლევების შედეგებიც, რომელსაც ვადა სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით აწარმოებს. სოჭის ამბავი საერთაშორისო სპორტული საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია. მოსკოვის ანტისადოპინგო ლაბორატორიის ყოფილი ხელმძღვანელი, ამერიკაში გადაბარგებული გრიგორი როდჩენკოვი და ინფორმატორი ვიტალი სტეფანოვი ღიად აცხადებენ, რომ რუსეთში მოქმედებდა სახელმწიფო დოპინგ-პროგრამა, რომლითაც სარგებლობდა ასამდე წამყვანი რუსი სპორტსმენი, მათ შორის სოჭის თამაშების 15 მედალოსანი.

გაზეთ „ნიუ იორკ ტაიმსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში როდჩენკოვი ამბობს, რომ ნაკრების წევრებს აძლევდა სამი აკრძალული პრეპარატის ნაზავს და ამის შესახებ საქმის კურსში იყვნენ თავად სპორტსმენებიც. როდჩენკოვი ასევე აღიარებს, რომ ლაბორატორიის კედელში საგანგებოდ გაკეთებული ხვრელის მეშვეობით ღამის საათებში, მალულად იცვლებოდა ოლიმპიადის რუსი პრიზიორების დოპინგ-სინჯები.

ვადა-სთან ერთად, ამ საქმეს იძიებს აშშ-ს იუსტიციის სამინისტრო.

ამ დღეებში მეტად ყურადსაღები განცხადება გააკეთა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა თომას ბახმა, რომელიც არ გამორიცხავს, რომ რუს სპორტსმენებს, შესაძლოა, რიოს თამაშების წინ მეტად სერიოზული პრობლემები შეექმნათ:

– რიო დე ჟანეიროს 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებში რუსეთის სპორტსმენების მონაწილეობა დამოკიდებულია იმ გამოძიების შედეგებზე, რომელსაც მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტო სოჭი-2014-თან დაკავშირებით აწარმოებს. თუ წარმოდგენილი იქნება უტყუარი მტკიცებულებები ორგანიზებული სახელმწიფო დოპინგ-პროგრამის არსებობის თაობაზე, რომელიც სპორტის ბევრ სახეობას ეხება, საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებს და სოკ-ს მოუწევთ მძიმე გადაწყვეტილების მიღება ინდივიდუალურ და კოლექტიურ პასუხისმგებლობას შორის.

# სასკი ბასკონიას საწვრთნელი კემპი საქართველოში გრძელდება



საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასა და ესპანურ კორპორაცია „სასკი ბასკონიას“ შარშან დაწყებული თანამშრომლობა გრძელდება. ეს კორპორაცია რამდენიმე კლუბის მფლობელია, რომელთა შორისაც წლევანდელი ევროლიგის ოთხთა ფინალის წევრი „ლაბორალ კუჩაა“.

სწორედ ამ კლუბის საწვრთნელი კემპი იმართება თბილისში. შარშანდელის მსგავსად, კემპის ჩასატარებლად თბილისში ესპანელი მწვრთნელები ჩამოვიდნენ და ვერის ბაღში 55 პერსპექტიულ მოზარდს ვარჯიშებს უტარებენ.

კემპისთვის 2001-05 წლებში დაბადებული კალათბურთელები შეირჩნენ. სელექცია ასაკობრივი ნაკრებების უცხოელმა კოორდინატორებმა – მილოშ გლიგორიევიჩმა და ტიჰომირ ბუჯანმა მოახდინეს. ეს სპეციალისტები გასულ ციკლში საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მუშაობდნენ და ფედერაციამ მათ საქართველოში ჩამოსვლა და ასაკობრივი ნაკრებებისთვის ტალანტების მოძიება, მათი კოორდინაცია და სამწვრთნელო პროცესების მონიტორინგი შესთავაზა.

შერჩეული ქართველი მოზარდები ხუთდღიან კემპში მიიღებენ მონაწილეობას და ესპანელი მწვრთნელები მათგან 16 საუკეთესოს შეარჩევენ, რომლებსაც ესპანეთში, ქალაქ ვიტორიაში ივლისის თვეში დაგეგმილ ლაბორალ კუჩას კემპზე წაიყვანენ და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან შერჩეულ პერსპექტიულ ახალგაზრდებთან ერთად გენერალურ კემპს ჩაუტარებენ. სწორედ ამ კემპის შემდეგ შეირჩევა ის კონტიგენტი, რომლებიც ესპანეთში დარჩებიან და ან ლაბორალ კუჩაში, ან ამ კლუბთან დაახლოებულ სხვა კლუბებში გააგრძელებენ ვარჯიშს.

შეგახსენებთ, რომ ლაბორალ კუჩაში ასპარეზობს საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი თორნიკე შენგელია. ვიტორიელთა ახალგაზრდულ გუნდშია ლუკა ბულაშვილი, ხოლო სხვა კლუბებში ლაბორალელებმა ნიკა დარბაიძე და გიორგი ტურძილაძე გაანათხოვრეს.

ლაბორალ კუჩას კემპი 28 მაისამდე გასტანს, რის შემდეგაც ესპანეთში წამსვლელი 16 ახალგაზრდის ვინაობა გაირკვევა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# მარკოიშვილის დარუშაფაკამ წააგო, შენგელია მოედანს უბრუნდება

მანუჩარ მარკოიშვილის დარუშაფაკამ დასანანი მარცხით დაიწყო თურქეთის ჩემპიონატის ნახევარფინალური სერია. რეგულარული ჩემპიონატის მომგები ეფესი მეოთხეადგილოსან დარუშაფაკელებთან ფავორიტად კი ითვლებოდა, მაგრამ ბოლო პერიოდამდე აგებდა და რომ არა დასკვნით წუთებში გამოჩენილი შედეგიანობა, მოედნის უპირატესობას პირველსავე მატჩში დაკარგავდა.

პირველი პერიოდი ეფესმა 2 ქულით მოიგო, თუმცა მეორე 14:23 დათმო, მესამე – 16:19 და ბოლო ათწუთეულის წინ 10 ქულით ჩამორჩა. დარუშაფაკამ ვერ მოახერხა სოლიდური უპირატესობის შენარჩუნება და 14:33 წაგებული დასკვნითი პერიოდის შემდეგ 71:80 დამარცხდა.

მარკოიშვილმა 23 წუთი ითამაშა და 7 ქულასთან ერთად თითო მოხსნა-პასი მიითვალა. ქართველმა უკანახაზელმა 2-დან 2 ორქულიანი და 3-დან 1 სამიანი ჩააგდო.

სერია 3 მოგებამდეა, მომდევნო მატჩი კი ისევ ეფესელთა მოედანზე დღეს გაიმართება.

ესპანეთის ჩემპიონატში მოთამაშე თორნიკე შენგელია კი, მოედანს უბრუნდება. ლაბორალ კუჩას ვებგვერდზე სტატია გამოქვეყნდა, სადაც შენგელიას გამოჯანმრთელებაზე და პლეი ოფის თამაშებში დაბრუნებაზეა საუბარი.

**თორნიკე შენგელია:**

– წინა მატჩში სათამაშოდ მზად ვიყავი, მაგრამ მწვრთნელმა ჩემი კიდევ მცირე ხნით დასვენება გადაწყვიტა და ამაში გასაკვირი არაფერი ყოფილა. მის ვერდიქტს პატივს ვცემ.

შეგახსენებთ, რომ თორნიკემ მუხლის მენისკის ოპერაცია თებერვლის შუა რიცხვებში გაიკეთა, რის შემდეგაც რეაბილიტაციის კურსს გადიოდა და სადღეისოდ ის სათამაშოდ მზადაა.

გეტყვით იმასაც, რომ ვიტორიელები ევროსარბიელზე წარმატებულად გამოვიდნენ და ევროლიგის ოთხთა ფინალს უწიეს. სამწუხაროდ, მათ მცირედი დააკლდათ ფინალში გასვლამდე. ესპანეთის ჩემპიონატში კი ლაბორალი რეგულარულში მე-4 ადგილზე გავიდა და პლეი ოფს გრან კანარიასთან მეოთხედფინალური სერიით იწყებს. ვიტორიელებს სოლიდური ამბიციები გააჩნიათ, რაც შენგელიას კომენტარიდანაც ჩანს:

– ცხადია, საბოლოო მიზანი ჩემპიონობაა, თუმცა, ამისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიაროთ. მთავარია, მეოთხედფინალური ეტაპი დავძლიოთ და დანარჩენზე მერე ვიფიქრებთ.

პლეი ოფის პირველ მატჩს ვიტორიელები 27 მაისს შინ გამართავენ, ხოლო 29-ში გრან კანარიას ლას პალმასში ესტუმრებიან. ორივე მატჩის მოგების შემთხვევაში ლაბორალი ნახევარფინალში გავა, სადაც ბარსელონა-ფუენლაბრადას შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდება.



შეგახსენებთ იმასაც, რომ თორნიკეს თანაგუნდელია საქართველოს ნაკრების პოტენციური წევრი მაიკ გრინი, რომელთანაც აქტიური მოლაპარაკება მიმდინარეობს „გაქართველებაზე“ და ჩვენს ეროვნულ გუნდში სათამაშოდ მოწვევაზე.

# შედეგები

**24 მაისი**

**ფეხბურთი**

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალკორკონი-ტენერიფე | 2:1 |
| მალიორკა-ელჩე | 2:1 |
| ვალიადოლიდი-ხირონა | 0:0 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

**პლეი აუტი**

| | |
|---|---|
| დუისბურგი-ვურცბურგერი | 1:2 |

**იტალია. სერია ბ**

**პლეი აუტი**

| | |
|---|---|
| ჩეზენა-სპეცია | 1:2 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

**პლეი აუტი**

| | |
|---|---|
| ვოლგარი-ანჟი | 0:1 |
| ყუბანი-ტომი | 1:0 |

**ჩოგბურთი**

**როლან გაროსი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-ლუ | 6:4,6:1,6:1 |
| დარცისი-ილჰანი | 6:3,6:4,6:0 |
| ბედენე-მელცერი | 4:6,6:3,6:4,6:4 |
| კარენო ბუსტა-დელბონისი | 7:6,6:7,6:4,6:4 |
| ტომიჩი-ბეიკერი | 6:3,6:4,6:4 |
| ჩორიჩი-ფრიცი | 6:3,6:1,6:3 |
| მატიო-ხირალდო | 6:4,6:7,6:4,1:6,6:3 |
| ბაუტისტა-ტურსუნოვი | 6:3,6:3,6:1 |
| ფერერი-დონსკოი | 6:1,6:2,6:0 |
| მონაკო-ისტომინი | 3:6,6:4,6:3,7:5 |
| ესტრელია-მარჩენკო | 7:5,6:4,6:3 |
| ლოპესი-ფაბიანო | 6:4,6:4,3:6,6:2 |
| კუევასი-კამკე | 3:6,6:2,6:3,7:6 |
| ჰალისი-ჩუნგი | 6:1,6:4,6:4 |
| ჟაზირი-ფ.მაიერი | 6:4,3:6,6:1,6:2 |
| ბერდიხი-პოსპიშილი | 6:3,6:2,6:1 |
| ნადალი-გროტი | 6:1,6:1,6:1 |
| ბანისი-დე შეპერი | 6:0,6:2,7:6 |
| მაუ-ბერანკისი | 7:6,6:2,6:1 |
| გრანოლერსი-ფონინი | 7:5,6:4,6:3 |
| რობერი-ანდერსონი | 6:4,6:2,1:6,7:5 |
| გარსია ლოპესი-დე ბაკერი | 6:4,6:4,5:7,7:6 |
| ტიმი-სერვანტესი | 3:6,6:2,7:5,6:1 |
| გოფენი-ბარერი | 6:3,6:3,6:4 |
| ბერლოკი-ლორენცი | 6:3,6:0,6:2 |
| ვესელი-რამი | 6:4,6:4,6:7,6:0 |
| ალმაგრო-კოლშრაიბერი | 5:7,6:2,6:2,6:4 |
| სოუზა-ძუმჰური | 2:6,7:6,6:4,7:5 |
| გულბისი-სეპი | 6:3,7:5,6:4 |
| ბაღდატისი-მიულერი | 7:5,6:4,6:1 |
| ცონგა-შტრუფი | 6:3,6:4,6:4 |
| პუიე-ბენეტო | 6:3,4:6,6:4,7:6 |
| ისნერი-მილმენი | 6:7,7:6,7:6,7:5 |
| მარეი-შტეპანეკი | 3:6,3:6,6:0,6:3,7:5 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| ს.უილიამსი-რიბარიკოვა | 6:2,6:0 |
| პერეირა-კრ.პლიშკოვა | 7:5,3:6,9:7 |
| ბაბოში-კროუფორდი | 6:4,6:0 |
| მლადენოვიჩი-სკიავონე | 6:2,6:4 |
| სვიტოლინა-კირსტეა | 6:1,6:3 |
| თაუნსენდი-ჰესე | 6:2,6:1 |
| ნარა-ალერტოვა | 5:7,6:3,6:0 |
| ივანოვიჩი-დოდენი | 6:0,5:7,6:2 |
| ს.ნავარო-სინიაკოვა | 6:2,4:6,6:2 |
| ვანგი-ანდრიანჟაფიტრიმო | 6:0,6:0 |
| კონიუხი-როდიონოვა | 6:2,6:3 |
| ციბულკოვა-ს.ჟენგი | 6:3,6:1 |
| პეტკოვიჩი-რობსონი | 6:2,6:2 |
| პუტინცევა-ვოზნიაკი | 6:1,6:1 |
| სევასტოვა-ვიკერი | 6:2,6:2 |
| კნაპი-აზარენკა | 6:3,6:7,6:0 |
| ბერტენსი-კერბერი | 6:2,3:6,6:3 |
| ჯორჯი-ლიმი | 6:3,6:2 |
| რაზანო-სოილუ | 4:6,6:1,6:0 |
| კასატკინა-ფრიდზამი | 6:1,4:6,6:3 |
| გორგესი-კონტა | 6:2,6:3 |
| პუიგი-გოვორცოვა | 7:5,6:3 |
| დუკე მარინო-გავრილოვა | 5:7,6:4,6:4 |
| კისი-ვეკიჩი | 6:3,6:2 |
| ვ.უილიამსი-კონტავეიტი | 7:6,7:6 |
| ჩირიკო-დევისი | 6:2,2:6,8:6 |
| კორნე-ფლიპკენსი | 6:1,6:0 |
| მარია-იანკოვიჩი | 6:3,3:6,6:3 |
| პარმენტიე-ნიკულესკუ | 6:2,7:6 |
| ფალკონი-ბარტელი | 6:4,0:6,6:2 |
| ბუშარი-ზიგემუნდი | 6:2,6:2 |
| ბაშჩინსკი-სოლერი | 6:3,6:1 |
| მაკაროვა-ლეპჩენკო | 5:7,6:4,6:3 |
| სტოსური-დოი | 6:2,4:6,6:3 |
| ს.ჟანგი-ვოსკობოევა | 7:5,6:2 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## კალეიდოსკოპი

# მეგობარი ქალის ვარჯიშით დატანჯვისთვის კაცს პატიმრობა მიესაჯა



ბრიტანეთის ქალაქ შეფილდის სასამართლომ პატიმრობა მიუსაჯა მამაკაცს, რომელიც მეგობარ ქალს აიძულებდა დიეტა დაეცვა და ფიტნესით ყოფილიყო დაკავებული. მამაკაცს 16 თვით პატიმრობა და ერთი წლით თავისუფლების შეზღუდვა მიესაჯა.

მუჰამედ ანვარი სასამართლომ დამნაშავედ ცნო, კერძოდ, ემოციურ ძალადობაში თავისი მეგობარი ქალის ჯემა დოერტთან მიმართებაში. მამაკაცი მოითხოვდა, რათა მას ევარჯიშა და მხოლოდ თევზი და ქარხალი ეჭამა. ასევე ის ყოველთვის თავად ურჩევდა ტანსაცმელს.

30 წლის დოერტიმ სასამართლოს განუცხადა, რომ ანვარი მას ცნობილი ქალების სურათებს უჩვენებდა, რომელთაც სილამაზის იდეალად მიიჩნევდა და ეკითხებოდა, რატომ არ შეიძლებოდა, რომ ისიც ასეთივე მშვენიერი ყოფილიყო. ის მისგან მოითხოვდა, რომ დღეში 500 კილოკალორია სარბენ ბილიკზე ვარჯიშით დაეწვა. გოგონამ ასევე აღიარა, რომ ანვარი მას სცემდა და ერთხელ თავის მოკვლაც კი სცადა.



# ესპანელს კატების სიყვარულისთვის დააჯარიმებენ

ესპანეთის ქალაქ სარაგოსას ორმოცი წლის მცხოვრებმა სამაშველო სამსახურის თანამშრომლები მოატყუა, როდესაც მათ უთხრა, რომ სახლის კარი ჩაეკეტა, სადაც მისი ორი მცირეწლოვანი გოგონა იმყოფებოდა. სინამდვილეში მაშველებს ჩაკეტილი კარის გაღების შემდეგ ბინაში ორი კატა დახვდათ და სწორედ მათ გამო ნერვიულობდა ბინის პატრონი.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოგვიანებით მამაკაცმა განაცხადა, რომ როდესაც ბავშვებზე საუბრობდა, თავის საყვარელ კატებს გულისხმობდა.

ესპანეთში მსგავსი ქმედება კანონის დარღვევად ითვლება და ამიტომ სარაგოსელ კატების მოყვარულს სოლიდური ფულადი ჯარიმის გადახდა მოუწევს. ადგილობრივი კანონმდებლობა ამგვარი დარღვევისთვის 150-დან 600 ათას ევრომდე ჯარიმის გადახდას ითვალისწინებს.

# სამხრეთკორეელებმა „პახმელიის“ საწინააღმდეგო ნაყინი შექმნეს

სამხრეთ კორეაში დაიწყეს ნაყინის გაყიდვა, რომელიც ადამიანს წინა დღის ნაქეიფრობისგან თავის დაღწევაში დაეხმარება.

აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობა აზიაში ერთ სულ მოსახლეზე ალკოჰოლური სასმელების მოხმარების რაოდენობით ერთ-ერთი უპირველესია. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ ქვეყანაში წელიწადში 150 მილიარდი სამხრეთკორეული ვონის (126 მილიონი დოლარი) „პახმელიაზე“ გამოსასვლელი საშუალება იყიდება.

ალკოჰოლური სასმელის მოხმარების შედეგებთან ბრძოლისთვის განკუთვნილი ნაყინი სავაჭრო ქსელებში სამი დღის წინ გამოჩნდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


## წვერსაპარსი PHILIPS
50 ლარი 90-ის ნაცვლად



- მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
- მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- გასაწმენდი ჯაგრისი;
- აკუმულატორი;
- მოჰყვება დამტენი;
- დატენვის ინდიკატორი;
- ბაკების გასასწორებელი;
- ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

## სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად



1.ხმის გაძლიერება 50დБ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც
რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც.
ელემენტები LR41 –
ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.

## შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!
50 ლარად
95 ლარის ნაცვლად




ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79. (უკანა მხარე)
579 885 996


## სპორტი

# სასკი ბასკონიას საწვრთნელი კემპი საქართველოში გრძელდება

დასაწყისი მე-9 გვერდზე

**გიორგი ქართველიშვილი, კალათბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი:**

— ჩვენი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, უკვე მეორე წელია მიმდინარეობს ეს სასწავლო კემპი, რომელიც ტექნიკურ თანამშრომლობას გულისხმობს. წელს 55 ბავშვი მონაწილეობს შეკრებაში. შეიძლება კიდევ დაემატოს, რადგან როტაცია მიმდინარეობს. ჩვენმა პარტნიორმა ბასკებმა უკვე შეისწავლეს ქართული კალათბურთის მომავალი, ნერგავენ იმ მეთოდოლოგიას, თუ როგორ შეიძლება განვავითაროთ ბავშვთა კალათბურთი. ამავდროულად გვიწევენ რეკომენდაციებს ცალკეული ბავშვებისათვის ინდივიდუალური მიდგომისათვის, თუ რა არის საჭირო. ეს ყველაფერი იმის საშუალებას მოგვცემს, რომ მომავალ რამდენიმე წელიწადში ეს ბავშვები იყვნენ ღირსეული ცვლა დღევანდელი ეროვნული ნაკრებისა. რამდენიმე ბავშვს წელსაც წაიყვანენ, რომ იქ ავარჯიშონ, აგრეთვე ასწავლონ, რადგან ჩვენი პარტნიორები დიდ ყურადღებას უთმობენ სწავლას. ეს თანამშრომლობა მხოლოდ და მხოლოდ დაფუძნებული იყო სიახლის შემოტანაზე, რადგან ეს კლუბი თვითონ წარმოადგენს ევროპული კალათბურთის ერთ-ერთ წამყვან კლუბს როგორც სპორტული შედეგებით, ისევე სტრუქტურულად და აგრეთვე, ბავშვთა კალათბურთში. ჩვენი მიზანი იყო, მათი გამოცდილება გაგვეზიარებინა ქართველი კალათბურთელებისათვის. მინდა, რომ ეს სამომავლოდ იყოს ერთ-ერთი ხიდი ჩვენი ახალგაზრდა კალათბურთელებისთვის, რადგან მათ მიაღწიონ უდიდეს წარმატებას.

**ხესუს ვასკესი, სასკი ბასკონიას გენერალური დირექტორი:**

— საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასთან თანამშრომლობას წარმატებულად ვაგრძელებთ. ეს სოლიდური და ძალიან სასარგებლო პროექტია ორივე მხარისთვის, განსაკუთრებით კი ქართული კალათბურთის მომავლისთვის. ამ ბავშვებში ვხედავ ანთებულ თვალებს, ყველა ძალიან მონდომებული და მოტივირებულია. ჩვენი მწვრთნელები ყველას ეხმარებიან, რომ საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე გამოავლინონ და წარმატების შემთხვევაში ესპანეთში ზაფხულში დაგეგმილ კემპში მიიღონ მონაწილეობა, სადაც წარმატებული ახალგაზრდები უკვე „ლაბორალ კუჩაში“ დარჩებიან“. გარდა ამ კემპისა, ჩვენი და კალათბურთის ფედერაციის თანამშრომლობა სხვა სფეროებსაც მოიცავს, რაც ვარჯიშების დაგეგმარებასა და თანამედროვე საკალათბურთო მეთოდების დანერგვაში გამოიხატება.

# ოლიმპიადაზე საქართველო რეკორდული წარმომადგენლობით იქნება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

დაობა); 8.ელიზბარ ოდიკაძე (თავისუფალი ჭიდაობა); 9.გენო პეტრიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა); 10.დავით ხარაზიშვილი (მძლეოსნობა); 11.ლუბა გოლოვინა (ბატუტზე ხტომა); 12-14. ძალოსნობა. საქართველოს ვაჟთა ნაკრები (3 ლიცენზია); 15-21. ძიუდო. საქართველოს ვაჟთა ნაკრები (7 ლიცენზია); 22.ცოტნე მაჭავარიანი (ტყვიის სროლა); 23.შმაგი ბოლქვაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა); 24.ზურაბ დათუნაშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა); 25.იაკობ მაქარაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა); 26.სანდრო ბაზაძე (ფარიკაობა); 27.ანასტასია გოტფრიდი (ძალოსნობა); 28.რევაზ ნადარეიშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა); 29.ზურაბ იაკობაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა); 30.ესტერ სტამი (ძიუდო); 31.ირაკლი რევიშვილი (ცურვა); 32.თეონა ბოსტაშვილი (ცურვა); 33.რობერტ კობლიაშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა); 34.იაკობ ქაჯაია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა); 35.ზაზა ნადირაძე (კანოე); 36.ლაშა თორღვაიძე (მძლეოსნობა); 37.ბენიკ აბრამიანი (მძლეოსნობა).

მოამზადა
მიხეილ ყორყოლიანმა


**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**


# ასტროპროგნოზი
## 26 მაისისთვის



**ვერძი** – ოჯახური სიტუაცია სტაბილურია. ერიდეთ ხალხმრავლობას და დაისვენეთ შინაურების გარემოცვაში. **კურო** – კარგი დღეა სამოგზაუროდ წასასვლელად. სამსახურში დაწინაურება გელით. თქვენი პროფესიონალიზმი და შრომისმოყვარეობა ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება. **ტყუპები** – შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. საკუთარი უნარების რეალიზაციას იოლად მოახერხებთ. გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. **კირჩხიბი** – გადით ქალაქგარეთ. ნებისმიერ საქმეს პრაქტიკული კუთხით მიუდექით. გიუმჯობესდებათ ფინანსური მდგომარეობა. იზრდება თქვენი ავტორიტეტი. **ლომი** – ფინანსები აკონტროლეთ. ცრუ ინფორმაცია მატერიალურად დაგაზარალებთ. მიენდეთ ინტუიციას. ნუ იქნებით მეტისმეტად კატეგორიული. **ქალწული** – დღის პირველ ნახევარში ფინანსური კუთხით სიძნელეები შეგხვდებათ, ასევე, მოსალოდნელია უთანხმოება კოლეგებთან. ერიდეთ უსაგნო საუბრებს. **სასწორი** – ბიზნესის სფეროში პერსპექტიულ წინადადებას შემოგთავაზებენ. მოულოდნელი შეხვედრის გამო შესაძლოა გეგმები შეგეცვალოთ. **ღრიანკალი** – დიდია ცრუ ბრალდებების ალბათობა. ვარსკვლავები არ გწყალობენ. სანამ რამეს მოიმოქმედებდეთ, მოსალოდნელ შედეგებზე დაფიქრდით. **მშვილდოსანი** – სიყვარულისა და შემოქმედებითი იდეების განხორციელების თვალსაზრისით კარგი პერიოდია. ძველ პრობლემებს არასტანდარტული გზით მოაგვარებთ. **თხის რქა** – თამამად იმოქმედეთ. დაბრკოლებებს ნუ შეუშინდებით. სიტუაციას საღად შეხედეთ. გამოსავალს იოლად იპოვით. **მერწყული** – მძიმე და პასიური დღეა. უმიზეზოდ ხართ მოწყენილი. შესაძლოა უაზრო კამათში ჩაგითრიონ. **თევზები** – კრიტიკული დღეა. აგრესიული და არაკეთილსინდისიერი ადამიანების ჩარევა, სავარაუდოდ, მატერიალურ დანაკარგებს გამოიწვევს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ჯიში; 2. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 3. რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი, სუროგატი; 4. გერმანელი მწერალი; 5. ჩინური ფაიფური; 7. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 11. თოთხმეტტაეპიანი ლექსი; 15. ოჯახის დედის სახელწოდება ძველ რომში; 16. ალუბლის ერთ-ერთი ჯიში, იაპონიის სიმბოლო; 17. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 18. უმარტივესი, ერთუჯრედიანი მიკროსკოპიული ცხოველი; 20. კოვბოების შეჯიბრი; 22. ქართული სპორტული რადიო.

**თარაზულად:** 6. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 8. სოფლის შარაგზა; 9. ოქროს ფერში ამოვლებული ძაფი; 10. ლონდონში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სათამაშოების მაღაზია; 12. შავი ფერის ტკბილნაყოფიანი კენკროვანი ბუჩქი; 13. საბერძნეთის მეორე სახელწოდება; 14. მოწინააღმდეგე კამათში; 19. მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი; 21. კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 23. ესპანური სპორტული გაზეთი; 24. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული მონღოლეთში; 25. სამარკო და საკოლექციო ღვინოების საცავი; 26. ტვირთის მცირე ხნით შესანახი სათავსო საბაჟოზე, ნავსადგურში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. მაკბეტი; 2. ბახუსი; 3. ანეკდოტი; 4. დიფუზორი; 7. ყიამყრალი; 8. ტოპონიმი; 12. აპერკოტი; 14. კოსინუსი; 16. იაგუარი; 17. ბარხანი; 19. ტახო; 20. ლაპი.

**თარაზულად**: 5. საქსონია; 6. მონუმენტი; 9. ზენიტი; 10. სუმიდა; 11. აპოლო; 19. აპაჩი; 15. გოთიკა; 18. ვალსი; 21. ნუმიზმატი; 22. არლანდა; 23. კორნეტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ურბნისი; 2. ნებიერი; 3. ინვარი; 4. წნორი; 5. ესტონეთი; 7. სნო; 11. ნასერი; 15. კონსოლი; 16. ელგუჯა; 17. ხომლი; 18. უფიცა; 20. სუფსა; 22. ლეგო.

**თარაზულად**: 6. რამოსი; 8. ჰეროინი; 9. პროექტი; 10. ნეილონი; 12. ბორტი; 13. იუანი; 14. კვესტურა; 19. მანტისა; 21. ნობელი; 23. ფოლგა; 24. ელინგი; 25. ალიასკა; 26. მანსარდა.

# ნაცემი რეჟისორი პირველ კომენტარს აკეთებს



მსახიობმა გია როინიშვილმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ მარჯანიშვილის თეატრის ახალგაზრდა რეჟისორ სანდრო ელოშვილს დაცვის პოლიციამ სცემა. მომხდართან დაკავშირებით პირველი კომენტარი თავად რეჟისორმა გააკეთა.

**სანდრო ელოშვილი:**

– ღმერთია მოწამე, ყველაფერს ღიმილით ვუპასუხე და არ მინდოდა ამ თემაზე კომენტარის გაკეთება, მაგრამ როგორც ვხედავ, სხვა გზა არ არის.

ჯერ მოკლედ გეტყვით რა მოხდა. იყო სპექტაკლის ბანკეტი, რესტორანში რამდენიმე მაგიდა იყო.

ტრადიციულად დაიწყო რუსული სიმღერები, ვიყავი ახალ მისული, შესაბამისად ფხიზელი და ასეთ მდგომარეობაში ვთხოვე იმ რამდენიმე მაგიდას და მუსიკოსებს, რომ თუ შეიძლება, დღეს მაინც თავი შევიკავოთ რუსული სიმღერებისგან-მეთქი, რაშიც ყველა დამეთანხმა და ასე გაგრძელდა სუფრის ბოლომდე.

ბოლოს დავრჩით რამდენიმე ადამიანი. ვგეგმავდით სხვაგან გაგრძელებას და, შესაბამისად, დარჩენილი სასმელ-საჭმელი მომსახურე პერსონალმა მომცა და მე გარეთ გამოვიტანე. შემდეგ შევბრუნდი რესტორანში, რადგან ჩემი მეგობრები არ გამოდიოდნენ გარეთ. რომ შევედი, უკვე იყო მუსიკოსებთან რაღაც დაძაბული საუბრები ერთ-ერთი ჩვენი სუფრის წევრის მხრიდან, რომლის სახელისა და გვარის დასახელებისგან თავს შევიკავებ, რაც შემდგომში ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. რაშიც, რა თქმა უნდა, აქტიურად ჩავერთე. თუმცა ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, გამოვედით გარეთ, რესტორნის ეზოში, სადაც დაგვხვდა კერძო დაცვის სამსახური და პირნათლად აღასრულეს საკუთარი მოვალეობა.

თუ ჩხუბის ყურება გინდათ, აგერ პარლამენტშია მაგარი ჩხუბი და უფრო საინტერესოა, ვიდრე ჩემი გაძუყვნა.

რასაც გინდათ, იმას უსმინეთ, გნებავთ ჯონ კოლტრეინს, გნებავთ კოლია ბელდის...

მოკლედ, არც ვამაყობ ჩემი საქციელით და არც ვნანობ.

იმ ხალხსაც ჰკითხეთ აზრი, იქნებ მართლები არიან და საერთოდ დასაჭერები ვართ?! იმასაც ბრალი ექნება, უწყალოდ ხმლით დაჭრილისა...

# აფხაზებო! ჩვენ ერთი სისხლი და ხორცი ვართ! აფხაზეთი საქართველოა!

რობერტ სტურუა, თემურ წიკლაური, ირმა სოხაძე, თიკა ფაცაცია, ბესო ზანგური, ჯანო იზორია, სანდრო მიკუჩაძე-ლაღანიძე, ედმონდ აბაშიძე-მინაშვილი, ირაკლი სანაია, ზურა დოიჯაშვილი, ზალიკო სულაკაური, მასტერი, დათო დარჩია სპეციალურ მიმართვას ავრცელებენ. ვიდეორგოლში, რომლის ავტორიც გიორგი გაბედავაა, ხელოვანები აფხაზებს მიმართავენ და ერთად დგომისკენ მოუწოდებენ.

– აფხაზებო! ჩვენ ერთი სისხლი და ხორცი ვართ! აფხაზეთი საქართველოა! – ეს არის ძირითადი გზავნილი, რომელსაც ქართველები აფხაზ ძმებს უგზავნიან.

ვიდეო, რომელსაც ათასობით ნახვა აქვს, სოფელ ხურჩაში მოკლულ 30 წლის გიგა ოთხოზორიას ხსოვნას ეძღვნება.

**თემურ წიკლაური:**

– პირველ რიგში, ვუცხადებ ჩემს სამძიმარს და გულისტკივილს დაღუპული ვაჟკაცის ოჯახს, მის დედას. ურთულესი გადასატანია, დედავ, მაგრამ შენი შვილი ვაჟკაცია. მშიშარა კაცი გადმოვიდა და შიშით და მოღალატეობრივად ჩუმად ესროლა კაცს და იქვე მოკლა. აფხაზი ხალხი გასცემს პასუხს მის ასეთ მოქმედებას. რამდენი ხანი უნდა იდგეს იქ დამპყრობელთა ჯარი და მის ზურგს უკან ამოფარებული მოღალატე და მშიშარა მკვლელები?!

**ზურა დოიჯაშვილი:**

– ჩვენ შვილი მოგვიკლეს და დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს.

**ირმა სოხაძე:**

– აფხაზებო, ჩვენ ერთი სისხლი და ხორცი ვართ. ჩვენ შვილი მოგვიკლეს, დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს. აფხაზეთი საქართველოა.

**ჯანო იზორია:**

– აფხაზებო, ჩემი ძმებო, ქართველებო, ჩვენ ყველანი ერთად ვართ და საერთო ტკივილი გვაკავშირებს, ტკივილი, რომელიც ეხება რამდენიმე დღის წინ მოკლულ ბიჭს, ჩვენს ძმას.




ასეთი რამის გაკეთება არ არის ვაჟკაცობა. ჩვენ კავკასია ვართ, დედამიწაზე კავკასია არსებობს თავისი ვაჟკაცობით, კულტურით. მტერი მტერს შეხვედრია და ბევრი მაგალითი ყოფილა ჩვენი, რომ ერთმანეთს შევხვედრივართ ბრძოლის დროს. ჩვენც ბევრი დაგველუპა ბრძოლაში და თქვენც, მაგრამ ის რაც ხურჩაში მოხდა, ეს ლაჩრობაა, ეს ცუდი საქციელია, რომელიც არც თქვენ გახასიათებთ და არც ჩვენ. ძალიან მტკივა და დღე არ გავა, რომ არ ვფიქრობდე ამ ყველაფერზე. მივხედოთ ერთად და დავსაჯოთ.

**რობერტ სტურუა:**

– ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მსოფლიო აირია, ძალადობა, უსამართლობა ზეიმობს. იმდენად დათრგუნული იყვნენ ჩემი მსახიობები ამ ამბით, ვერც მიყვებოდნენ და მეც კი ვერ ვნახე ეს კადრები. ვხედავდი მხოლოდ მათ ემოციას. მხოლოდ ადამიანური ურთიერთობა თუ გადაარჩენს ჩვენს ურთიერთობას. მიჭირს ლაპარაკი. ასეთ თემაზე ან ძალიან გულწრფელი უნდა იყო და საჯარო გულწრფელობა კი ცოტა რთულია.




# ქეთა თოფურია შვილს აღარ მალავს

„ა სტუდიოს" ქართველი ვოკალისტი ქეთა თოფურია შვილს აღარ მალავს. 11 თვის ოლივიას სახე მან რუსული ჟურნალ „ოქეის"-თვის ექსკლუზიურად გამოაჩინა. მომღერალი თავის გოგონასთან ერთად ჟურნალის ყდაზე მოხვდა.

– გაიცანით, პატარა პრინცესა ოლივია, – ასე დაასათაურა შვილის პირველი ფოტოსესიის ერთ-ერთი ფოტო მომღერალმა და ინტერნეტშიც გაასაჯაროვა.

ქეთას გულშემატკივრები ოლივიას მამას ამსგავსებენ და ამბობენ, რომ გოგონა ლევ გეიხმანის ასლია.

სწორედ ოლივია გახდა ქეთას ინსპირაციის წყარო საბავშვო კოლექციის შექმნასთან დაკავშირებით. მას შემდეგ, რაც მომღერალი გოგონას დედა გახდა, საკუთარი დიზაინერული გამოცდილების გამოყენება ბავშვთა კოლექციების შექმნაშიც გადაწყვიტა.

პირველ ეტაპზე ქეთამ შავი, ლურჯი და ვარდისფერი ტყავის ქურთუკები შექმნა, რომლებიც კნოპებით და ელვებით დატვირთა და მაქსიმალურად მოდური გახადა.

„ოქისთვის" გადაღებულ ფოტოებში ოლივიას სწორედ დედიკოს შექმნილი ტყავის ქურთუკი აცვია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# კალეიდოსკოპი

## გაქცეული ალასკელი პატიმარი უკან დაბრუნდა და ისევ გაიქცა




ამერიკის ალასკას შტატში სოციალური ადაპტაციის სარეაბილიტაციო ცენტრის პატიმარი ჯოშუა იასკა საპყრობილიდან გაიქცა, რის შემდეგაც უკან სატვირთო მანქანით დაბრუნდა, რათა სხვა პატიმრებსაც დახმარებოდა გაქცევაში და შემდეგ ისევ გაიქცა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი პრესა პოლიციაზე დაყრდნობით ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პირველ ჯერზე 20 წლის იასკა ველოსიპედით გაიქცა. თუმცა სამი საათის შემდეგ უკან დაბრუნდა, რათა სხვა პატიმრებიც გაეთავისუფლებინა. ის შეეცადა სატვირთო მანქანით სარეაბილიტაციო ცენტრის ტერიტორიაზე შეჭრილიყო, შემდეგ კი განმეორებით განახორციელა გაქცევა.

– ამ დროისთვის იასკის ადგილსამყოფელი უცნობია, – განაცხადეს ადგილობრივ პოლიციაში. გაქცეულ პატიმარზე ძებნაა გამოცხადებული.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების თანამშრომლებსა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს არ შეუძლიათ შეაჩერონ ის პირები, რომლებიც სარეაბილიტაციო ცენტრის დატოვებას განიზრახავენ, თუმცა ამის შემდეგ მათ გაქცევის ბრალდება წარედგინებათ.

## ქალმა დისნეილენდი ძველთაძველი ბილეთით დაათვალიერა




ამერიკის მიჩიგანის შტატის მცხოვრებმა ქალბატონმა დისნეილენდში შესასვლელად გამოიყენა ბილეთი, რომელიც მისთვის მშობლებმა 22 წლის წინ შეიძინეს.

1994 წელს ჩელსი ჰერლინი ოჯახური დასვენების ბოლო დღეს ავად გახდა და გართობისა და დასვენების პარკში წასვლა ვერ შეძლო. მას შემდეგ მისი მშობლების სახლში ინახებოდა გამოუყენებელი ბილეთი. 22 წლის შემდეგ ჰერლინმა გადაწყვიტა ბედი ეცადა და დისნეილენდში თავისი ძველი ბილეთით წავიდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პარკის თანამშრომლებმა 22 წლის წინანდელი ბილეთი მიიღეს და ქალს პარკში შესვლის საშუალება მისცეს. მისი თქმით, ბილეთს ვარგისიანობის ვადა არ ჰქონდა და 27 წლის ქალბატონს ძველი ბილეთი ახლით შეუცვალეს. ამის შემდეგ ჰერლინმა ყველა ის ატრაქციონი მოიარა, რომლებმაც ის დააინტერესა და მან დისნეილენდში ოთხი საათი გაატარა.

## იაპონურმა კატამ ინტერნეტი საბალეტო ხელოვნებით დაიპყრო

იაპონურმა კატამ, სახელად მირკომ, ინტერნეტი თავისი საბალეტო ხელოვნების წყალობით დაიპყრო. სოციალური ქსელების ახალი გმირი გრავიტაციის კანონებს ეწინააღმდეგება.

ჩვეულებრივ კატები ცნობილები თავიანთი მომხიბვლელი ან უჩვეულო გარეგნობის წყალობით ხდებიან, მაგრამ მირკოს შემთხვევაში საუბარია შთამბეჭდავ საბალეტო ხელოვნებაზე.



ტვიტერში შინაური ცხოველის გვერდს თითქმის 40 ათასი ხელმომწერი ჰყავს. კატა რეგულარულად ახდენს თაყვანისმცემლების წინაშე სხვადასხვა საბალეტო ილეთების დემონსტრირებას, თუმცა ცხოველის პატრონის თქმით, სინამდვილეში „საბალეტო" ილეთების ფოტოსურათები, უბრალოდ იღბლიანად შერჩეული მომენტისა და მრავალრიცხოვანი მცდელობების შედეგია.

– მირკოს მის საყვარელ სათამაშოებს ვესვრით, ის დარბის, დახტის და სწორედ ამ დროს უღებენ მას ფოტოსურათს, – განაცხადა კატის პატრონმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## „მაკდონალდსის" თანამშრომლებმა ვაშლის ნამცხვრის გამო იჩხუბეს




ამერიკის სამხრეთ კაროლინის შტატში „მაკდონალდსის" რესტორნის ორმა თანამშრომელმა ხელჩართული ჩხუბი გამართეს ვაშლის ნამცხვრისთვის, რომელიც სწრაფი კვების ამ დაწესებულებაშივე იყიდება. ქალებმა ვერ გაარკვიეს, თუ საფირმო დესერტის დამზადების რომლის რიგი იყო.

ქალების ჩხუბის ვიდეოჩანაწერი სწრაფი კვების რესტორნის ერთ-ერთმა კლიენტმა გააკეთა და შემდეგ ფეისბუქში განათავსა.

ინციდენტის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა ჩხუბის წამომწყები 25 წლის თანამშრომელი ვითარების გარკვევამდე დააკავეს. დაწესებულებიდან გაყვანისას გოგონა ოპონენტს დაჰპირდა, რომ თუ მას ციხეში ჩასვამენ, დაბრუნდება და თავის 30 წლის კოლეგას ცხვირპირს გაუერთიანებს.

## პარალიზებულმა მამამ შვილი საკურთხეველთან ხელოვნური მოწყობილობით მიიყვანა



ბრიტანეთის ქალაქ დერბის მცხოვრებს, პარალიზებულ მამაკაცს ოცნება აუსრულდა, თავისი ქალიშვილი მისი ქორწილის დღეს საკურთხეველთან მიიყვანა. ამაში მას ბიონური კოსტუმი დაეხმარა. 55 წლის კრის პალმერს ონკოლოგიური დაავადების გართულების შედეგად ქვედა კიდურები 2012 წელს წაერთვა და პარალიზებული აღმოჩნდა. პალმერის ქალიშვილმა ჰეზერმა შეიტყო, რომ არსებობდა ეკზოჩონჩხი და მის მწარმოებელს თხოვნით მიმართა, კოსტუმი ქორწილის დღეს იჯარით მიექირავებინა. კომპანია ფექს ბიონიქსმა გოგონას თხოვნა დააკმაყოფილა და მამამისს თავისი 130 ათას დოლარად ღირებული პროდუქცია ათხოვა.

# TV პროგრამა

## ხუთშაბათი 26 მაისი

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" **13.00** ქართ. დ/ფ "26 მაისი" **13.20** "ქართული დოკუმენტალისტიკა" – შავლეგო **14.30** ქართული მხ/ფ **16.30** "დამოუკიდებლობის **1005** დღე" **17.30** "საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი" **18.30** ეპოქის ფრაგმენტი: "ფშაველების პასპორტი" – დამბალ ხაჭო **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "ინტერვიეწ" – სალომე ასათიანთან ერთად **21.00 26** მაისისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი **23.00** ქართული მხ/ფ "**ყაჩაღები**" **01.00** მხ/ფ "**გლადიატორი**"

**08.00** "ბრიფინგის დრო" (ოთხშ. გ/ჩვ) **09.00** ქართ. დ/ფ "რუსთაველის ნაკვალევზე" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** ქართული დოკუმენტალისტიკა – ე. თაყაიშვილი **12.00** "მოამბე" **13.30** ქართული დოკუმენტალისტიკა – "დისიდენტები" **14.00** ქართ. მხ/ფ "**ნუცას სკოლა**" **15.45** ქართ. დ/ფ "ჩვენ" **15.40** ქართული დოკუმენტალისტიკა – "26 მაისი" **17.00** კონცერტი: **ელისო ვირსალაძე** **18.00** მხ/ფ "**კილიმანჯაროს თოვლიანი მთა**" (ჯ.პეკი) **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.00** ქართ. მხ/ფ **21.30** ვენის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი (პ/ტ) **00.30.** "ნამდვილი დრო"

**06.00, 14.40** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.05** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ველი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** მხ/ფ "**სუპერ ფორსაჟი**" **02.20** მხ/ფ "**სიყვარულისა და დანების ისტორია**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **19.05** პსპს გათამაშება **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** პროფილი **23.30** დოკ/ფ "**1921** წლის შემდეგ" **00.30** P.S. **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძვლები**" **15.00** შუადღე **17.30** ცოლები და ქმრები **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.30** გალფის გათამაშება **22.45** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **23.55** სერ. "**ჯოჯოხეთი ბორბლებზე**" **0.50** მხ/ფ "**ჯენიფერის სხეული**" **2.30** URBAN STORIES

**06.15** სჯანი **06.40** პატერიკი **06.50** დეკორატიული ფლორა "იასამანი" **07.05** ქართული ალბომი **07.50** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**ფესვები**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ასპარაგუს" **15.05** ივერიის ეკლესია **15.20** ქართ. ან/ფ **15.30** დ/ფ "უდროობის გმირი"-თარაშ ემხვარი **17.05** დ/ფ "სვანეთი კულტურული მემკვიდრეობის საუნჯე" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.20** დ/ფ "იქ ცა და მიწა ერთდება..."-პატრიარქი ისრაელში **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დრო და ადამიანები "მერაბ კოსტავა" **21.30** დ/ფ "გაფითრებული თებერვლის ლანდი"-მარო მაყაშვილი **22.25** ჩვენი საგანძური **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **00.25** ისტორიის დღიური **01.25** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები"-**33** (ჟესტიკულაციით) **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.05** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05, 15.30, 1.00** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ფართოა მდინარე**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**უცხო**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**26 მაისისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.1459 | ევრო — 2.4045 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1047 | 100 რუსული რუბლი — 3.1996 |

## ამინდის პროგნოზი 26 მაისისთვის





## ყურადღება!

მათთვის, ვინც ვერ მოახერხა წიგნის შეძენა!

**27 მაისიდან**

ჰარიეტ ბიჩერ სტოუ

**ბიძია თომას ქოხი**

ოქროს ბიბლიოთეკა. ტომი 1



ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



**24 მაისიდან**

ერიხ მარია რემარკი

**ტრიუმფალური თაღი**

ოქროს ბიბლიოთეკა. ტომი 4

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი


## კალეიდოსკოპი



### ტიბეტში ჯომოლუნგმას მუზეუმს ააგებენ



ტიბეტის ავტონომიურ რაიონში ჯომოლუნგმას უზარმაზარ მუზეუმს ააგებენ, ამ ინფორმაციას ჩინური სააგენტო „სინხუა“ ავრცელებს. აღნიშნული კომპლექსი მსოფლიოში უმაღლეს მწვერვალს მიეძღვნება, რომელიც ასევე ევერესტის სახელითაა ცნობილი.

მუზეუმი ქალაქ შიგაცზში განთავსდება. სამშენებლო სამუშაოები 18 მაისს დაიწყო, მუზეუმების საერთაშორისო დღეს. კომპლექსის მოცულობა თითქმის 22 ათასი კვადრატული მეტრი იქნება, რაც სამი საფეხბურთო მოედნის ფართობს შეესაბამება.

პროექტის ღირებულება 41,8 მილიონ იანს (დაახლოებით 6,4 მილიონი დოლარი) შეადგენს. ხუთსართულიან ნაგებობაში გამოფენილი იქნება ცხოველების ფიტულები, მცენარეების ჰერბარიუმები ჯომოლუნგმადან, გაქვავებული ნარჩენები. დამთვალიერებლებს ასევე ადგილობრივ ფოლკლორთან გაცნობას შესთავაზებენ.

### შეყვარებული ჩინელი ხეზე გაიჭედა



ჩინეთის ქალაქ იჩანის მცხოვრების მცდელობა, ხელი ეთხოვა თავისი გულის სწორისთვის წარუმატებლად დასრულდა.

მამაკაცის ჩანაფიქრით (მისი ვინაობა არ სახელდება), ის უნდა გადმომხტარიყო პარაშუტით, რომელზეც ეწერებოდა „გოუ ჰუნიუნ, ცოლად გამომყევი“, ხოლო მიწაზე დაშვების შემდეგ გოგონასთვის ყვავილები მიერთმია, მაგრამ მის გეგმებში ქარი ჩაერია და ის თავისი პარაშუტით ხის ტოტებში გაიჭედა.

შეყვარებულმა მამაკაცმა დამოუკიდებლად მიწაზე ჩამოსვლა ვერ მოახერხა, მაშველების მოსვლას კი თითქმის ერთი საათი ელოდა. მას შემდეგ, რაც უიღბლო შეყვარებული სპეციალური ამწეს საშუალებით ხიდან ჩამოხსნეს, ის თავის თავდაპირველ გეგმას დაუბრუნდა: თავისი შეყვარებულის წინ ცალ მუხლზე დაიჩოქა და ყვავილების თაიგული მიართვა, თუმცა აქაც იმედის გაცრუება ელოდა. გოგონამ მისი წინადადება უარყო, გატრიალდა და წავიდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



მთელი ოჯახი ტელევიზორში ფილმ „დეჟა ვიუს“ უყურებს, ძველ პოლონურ-საბჭოთა კომედიას. ერთ-ერთ კადრში ფილმის გმირზე ამბობენ:

„მას უყვარს კრივი, სექსი და ჯაზი...“

ამ დროს ბავშვი დედას ეკითხება:

– დედა, ჯაზი რა არის?

•••

ორი ნაცნობი ტელეფონზე საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რაში მდგომარეობს ცხოვრების არსი?

– ახლა ვერ გიპასუხებ, ინტერნეტი გამორთული მაქვს.

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– იცი, მაღალშემოსავლიანებს უფრო ხშირად აქვთ ინტიმური ურთიერთობები.

– სამაგიეროდ, დაბალშემოსავლიანები ამას საკუთარ ცოლებთან აკეთებენ.

•••

რაიონში ფეხბურთის მწვრთნელი ჩრდილშია წამოწოლილი და ისე ავარჯიშებს ბავშვებს. ამ დროს ერთი ბავშვი მიირბენს და ეუბნება:

– მასწავლებელოო, გოჩაიემ მითხრა, იდი ნა ...ო!

– მერე ჩემთან რას მოიშე შობელძაღლო!

•••

ორი ნაცნობი ავტობუსით მგზავრობს, ერთი მეორეს ეკითხება:

– რა ხდება მთავრობაში თუ იცი?

– ისეა საქმე, როგორც ამ ავტობუსში.

– ეგ როგორ?

– ზოგი ზის და ზოგიც დაჯდომას ელოდება.

•••

სოფლის ფეხბურთის მოედანზე თხა ბალახობს. იქვე ორი გლეხი ზის. ერთი მეორეს ეკითხება:

– აი თხა არ დავკლათ?

– მორჩეს თამაშს და დავკლათ.

•••

კაცს მეგობარი პირველად ესტუმრა სახლში. იატაკზე დაფენილ დათვის ტყავს რომ დაინახავს, ეკითხება:

– შენ მოკალი?

– კი.

– რამდენი ტყვია ესროლე?

– ხუთი.

– და რამდენი ააცილე?

– ხუთივე.

– აბა როგორღა მოკალი?

– სიცილისგან გაიგუდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


**23 მაისიდან**

ჯეკ ლონდონი

**ზღვის მგელი**

თავგადასავალი, ფანტასტიკა. ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი




## ოლიმპიადაზე საქართველო რეკორდული წარმომადგენლებით იქნება




საქართველოს ოლიმპიურმა ნაკრებმა რიო დე ჟანეიროში გასამართ 31-ე ოლიმპიური თამაშების კიდევ ორი ლიცენზია მოიპოვა. ქალაქ ალმათაში, ყაზახეთის თასის ღია ჩემპიონატზე ქართველმა მძლეოსნებმა – ლაშა თორღვაიძემ (სამმაგი ხტომა) და ბენიკ აბრამიანმა (ბირთვის კვრა) წარმატებით იასპარეზეს.

ლაშა თორღვაიძე 16.87 მეტრზე გადახტა, ხოლო ბენიკ აბრამიანმა ბირთვი 20.54 მეტრზე ისროლა, რაც საკმარისი გამოდგა სალიცენზიო ნორმატივის შესასრულებლად. გარდა ამისა, ქართველმა სპორტსმენებმა ტურნირზე ოქროს მედლებიც მოიპოვეს.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თორღვაიძის შედეგი საქართველოში მხოლოდ ლეგენდარული ვიქტორ სანეევისას ჩამორჩება, ხოლო აბრამიანის მაჩვენებელი სარეკორდოა.

გაგაცნობთ სადღეისოდ ქართველი ლიცენზიანტების სიას, რომელიც ასევე რეკორდულია – 37 ლიცენზიანტი აქამდე არც ერთ ოლიმპიადაზე არ გვყოლია.

1.ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა); 2.ხათუნა ნარიმანიძე (მშვილდოსნობა); 3.ქრისტინე ესებუა (მშვილდოსნობა); 4.იულია ლობჟანიძე (მშვილდოსნობა); 5.სალომე ფაჟავა (მხატვრული ტანვარჯიში); 6.ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა); 7.სანდრო ამინაშვილი (თავისუფალი ჭი-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## გურჯაანელმა ამურ ხარტონიშვილმა 25.300 ლარი მოიგო



ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემაში „ცოდნა ფულია“ მეორე გამარჯვებული გამოვლინდა. პირველად 25.000 ლარი 24 წლის დავით პაქსაშვილმა მოიგო, მეორედ კი 25.300 ლარი გურჯაანელმა ამურ ხარტონიშვილმა თავისი ცოდნით დაიმსახურა.

მე-13 გამარჯვების მომტანი კითხვა კი ასე ჟღერდა: კორინთული ორდერის სკულპტურული ორნამენტის ამავე სახელწოდების სტილიზებულ დეკორს ჰქვია: ა) ალმეა, ბ) ამუსი, გ) აკარი და დ) აკანთი.

ამურ ხარტონიშვილმა სწორ პასუხად დ) აკანთი აირჩია და „ცოდნა ფულიას“ მეორე გამარჯვებული გახდა. 37 წლის ამურ ხარტონიშვილი გურჯაანიდან არის და სოფელ ბაკურციხის საჯარო სკოლის დირექტორია.

შეკითხვაზე „რაში დახარჯავთ მოგებულ თანხას?“ მან ასეთი პასუხი გასცა: „მანქანას ვიყიდი. ოცნებას ავისრულებ.“

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მარმარილოს საბადო ტყიბულის რაიონში; 2. ქართველ ქალთა ძველებური თავსაბურველი; 3. წყალში გახსნილი საღებავები; 4. ძველებური ფირსაკრავი; 7. ქართული ლუდი; 8. ისტორიული სოფელი მცხეთის მახლობლად; 12. თევზსაჭერი მოწყობილობა; 14. სივრცეში სხეულთა მოძრაობის კანონების შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 16. სამომსახურეო ჯიშის ძაღლი; 17. ზომიერება, მომჭირნეობა ხარჯვაში; 19. ლიტერატურული პრემია საქართველოში; 20. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი.

**თარაზულად:** 5. ევერესტის დამლაშქრავი ქართველი ალპინისტი; 6. აგრესიის ინტენსიური გაფართოება, გაძლიერება; 9. მუსლიმთა წმინდა ქალაქი არაბეთში; 10. ებრაული წესით დამზადებული ღვინო; 11. ზმნის ახლანდელი დრო გრამატიკაში; 13. ნომრით აღნიშნული კომპოზიტორის მუსიკალური ნაწარმოები; 15. ზღვის ლაბისებრი ცხოველი; 18. ქართველთა სახელწოდება მაჰმადიანებში; 21. ფარისეველი, ქლესა, პირფერი ადამიანი; 22. გუთნის დედისა და მეხრეების სიმღერა; 23. კურორტი ბორჯომის ხეობაში.



**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

ლურჯი წითელი ყვითელი შავი